ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1903–1905 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.
№49 (1487) 10–14 ოქტომბერი, 1996 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ვინ იყო ვინ?

მასალები საქართველოს ისტორიის მომავალი მემატიანისათვის

# ზვიად გამსახურდია



**აქა ამბავი მე-10 კლასელი „ხულიგნების“: ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავას, გურამ დოჩანაშვილის, ვლადიმერ სიხარულიძისა და სხვათა შესახებ**

მეორე გვერდი

## თენგიზ კიტოვანი: აფხაზეთში, თქვე დალოცვილებო, არძინბასთან ფლირტის სათამაშოდ ხომ არ მივდიოდი

მესამე გვერდი

## ნოდარ ნათაძე: გვემუქრება 1937 წელი

მეოთხე გვერდი

**ორშაბათის ნომერში რუბრიკით „ეპოქის სარკე“ პირველად გამოქვეყნდება საქართველოს მწერალთა კავშირის კრების ისტორიული მნიშვნელობის მქონე სტენოგრაფიული ჩანაწერები**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვინ იყო ვინ?

## მასალები საქართველოს ისტორიის მომავალი მემატიანისათვის



ვაგრძელებთ ჩვენს რუბრიკას - „ვინ იყო ვინ?“ ანუ მასალები საქართველოს ისტორიის მომავალი მემატიანისათვის. ვიწყებთ პუბლიკაციებს საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას შესახებ. პირველი წერილი, 1956 წელს გამოქვეყნებული გაზეთ „კომუნისტში“, შემთხვევით არ აგვირჩევია. ეს მასალა შეუძლებელია დღეს ირონის გარეშე წაიკითხოთ, მაგრამ ეპოქის სარკეს ზედმიწევნით კარგად ხატავს. მაშ ასე, კომუნისტური პრესა მე-10 კლასელი „ხულიგნების“: ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავას, გურამ დოჩანაშვილის, ვლადიმერ სიხარულიძის და სხვათა შესახებ.

თუ როგორ და რისთვის შეითხზა აქ მოთხრობილი ამბები, ამას შემდგომ ნომრებში გაეცნობით...

# აქა ამბავი მე-10 კლასელი «ხულიგნების»: ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავას, გურამ დოჩანაშვილის, ვლადიმერ სიხარულიძისა და სხვათა შესახებ

# სარეველა

წარმოიდგინეთ სულის და გულის გამხარებელი მოხასხასე მდელო. მწვანედ მობიბინე ჯეჯილი. როგორ გატკბობთ იგი!

ეს არის ჩვენი ჩინებული ახალგაზრდობა. საბჭოთა ახალგაზრდობა - მშობლიური პარტიისა და მთავრობის მზრუნველობით აღზრდილი. ეს ახალგაზრდობა ახარებს ჩვენს ქვეყანას, ხალხს, ყოველი საბჭოთა პატრიოტის გულს შესანიშნავი თვისებებით, გმირული შრომის, ბრძოლისა და ბეჯითი სწავლის შთამაგონებელი მაგალითებით, შორეულ მელბურნში მოპოვებული ოლიმპიური მედლებით, ჭადრაკის დაფებზე მიღწეული გამარჯვებებით, თეატრის, მუსიკის, ფერწერის, კინოს ნიჭიერი ნაწარმოებებით. და ხალხი ერთნაირი სიყვარულით და სიამაყით ულოცავს შემოქმედებითს წარმატებებს ქართველ ჭაბუკ მეფოლადესაც და სცენის ოსტატ ქართველ ქალიშვილსაც.

მაგრამ წარმოიდგინეთ ამ მდელოში, ამ ყვავილნარში ზოგან მოდებული სარეველა ბალახი, როგორ აფერხებს და ზიანს აყენებს იგი სალი მცენარის გაშლა-გაფურჩქვნას.

სამწუხაროდ, ქვემოთ ლაპარაკი გვექნება სწორედ ამ სარეველაზე - ულირს ახალგაზრდებზე, პირდაპირ ხულიგნებზე, უსაქმურობისა და დებოშის „რომანტიკოსებზე“, ჯერ კიდევ აქა-იქ რომ მოსდებიან ჩვენს ლამაზ ყვავილნარს.

მათ არ გააჩნიათ ქცევის რაიმე ნორმა, ერთმანეთს ეჯიბრებიან შორს გადაფურთხებაში, საზოგადოება მათთვის თითქოს კოჭებამდე წყალი იყოს, რომელსაც შეიძლება თავისუფლად გადაახტე, გასტოპო, გასცურო, მკლავის ძალა გამოსცადო.

ადამიანის ქცევის ნორმების განმსაზღვრელი ხომ სინდისია, შეგნებაა, საზოგადოებისა და საკუთარი თავისადმი პატივისცემის გრძნობაა. ამ პრინციპებიდან თავისუფალი, ესე იგი შუბლგარეცხილი კაცი საშიში მოვლენაა, მისი გამოჩენა საფრთხეა.

ვინ არიან ესენი, ადამიანთა რა კატეგორიას განეკუთვნებიან? ესენი სავსებით ნორმალური ადამიანები არიან, თავიანთი სიცოცხლის ნამდვილი გაფურჩქვნის, ნამდვილი გაზაფხულის პერიოდში - ჩვიდმეტცხრამეტი წლის ასაკში, ტანაშოლტილნი, გარეგნული სილამაზით დაჯილდოებულნი, უკანასკნელი მოდის ტანსაცმლით შემკულნი და დამშვენებულნი, წვერულვაშაკოკრილნი...

ეს გარეგნობა.

ახლა ჩავიხედოთ მათს სულში, მათს შინაგან სამყაროში - რით სუნთქავენ, რა იდეალები ამოძრავებთ, რისკენ მიისწრაფვიან, რით არის გართული მათი გული და გონება?

აქ კი ჩვენ სრულ ქაოსს ვაწყდებით. ლამაზი გარეგნობის მიღმა ვხედავთ მხოლოდ სიცარიელეს, ქარაფშუტა სულს, დაკნინებულ ბუნებას, დახურდავებულ ხასიათს, ყველაფერს, გარდა ნამდვილი, ჭეშმარიტი ადამიანური თვისებებისა.

იერემია წარბასა და ტარიელ მკლავაძის მიმბაძველთ სწორედ რუსთაველის პროსპექტი - ჩვენი დედაქალაქის ყველაზე ხალხმრავალი ქუჩა აურჩევიათ მოქმედების ასპარეზად. მოქმედების ხასიათია ხულიგნობა - ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების დღემდე შემორჩენილი ყველაზე ავთვისებიანი სიმსივნე, სახიფათო მუწუკი, მავნე სარეველა, რომელსაც მოჭრა, ამოკვეთა, ამოძირკვა სჭირდება.

აი მიდიხართ გზაზე, სამუშაოდ თუ სხვა საქმეზე მიგეჩქარებათ. უცებ ვიღაცის ძალუმი მხარული გაფრთხობთ და საკმაოდ გაჯანჯღარებთ. ნაბიჯი გერევათ. მიმოიხედავ - გარშემორტყმული ხართ ერთი ცინიკური ღიმილით შემოგცქერით, მეორე გამომწვევად გიბღვერით, მესამის მკაცრი გამოხედვა გაფრთხილებთ - „მოუსვით“, სანამ რაიმეს არა გწევენ. უწმაწურ სიტყვებს სეტყვასავით გაყრიან. მხრებს იწურავთ, საკუთარი თავისთვის ანგარიში ვერ მიგიციათ, თვალებს აცეცებთ. გრცხვენიათ - ნაცნობმა ვინმემ ხომ არ დაგინახათ. შეურაცხყოფილს სირცხვილით ლოყა აგელეწებათ. გამვლელი აბა რათ აიტკენს აუტკივარ თავს - ერთს შემოგხედავთ და გზას გაუდგება. გიხარიათ, რომ იოლად გადარჩით...

მაგრამ იმ დღეს, 8 დეკემბერს იოლად არ გადარჩენილა ახალგაზრდა მოქალაქე ნ., რომელიც ორ ქალიშვილთან ერთად მიდიოდა თავისთვის გზაზე.

„- შენ რომელს აირჩევ, ზვიადო?“

ზვიადი ზვიადად გადასცქერის მსხვერპლს.

„მარცხენას, ცხადია!“ - ისმის მოკვეთილი პასუხი.

„მაშ, ჩვენ როგორმე მარჯვენასთან მოვრიგდებით“, - ჩაილაპარაკებს ანატოლი, და ქუჩის „რაინდები“ გარს ერტყმიან ახალგაზრდა ქალ-ვაჟთ.

რა ქნას ახალგაზრდამ? იგი თავდამსხმელთ მოუწოდებს წესრიგისკენ. ისინი კი აინუნშიაც არ აგდებენ ჭაბუკს, მუშტით გაიანპირებენ მას. ინციდენტის ადგილას ცნობისმოყვარეთა მთელი გროვა იყრის თავს. ხულიგნებს არავინ მოუწოდებს წესრიგისკენ, უდანაშაულოებს არავინ ექომაგება ჩანს, საქმე მკლავის ძალამდე მიდის. ქალ-ვაჟნი ისწრაფვიან ტრამვაის გაჩერებისაკენ, რომ თავს უშველონ. ადიან ტრამვაიში, მაგრამ თავზეხელაღებულნი ვაგონშიც მისდევენ მათ. გრძელდება თავაშვებულობა, ძიძგილი, მუშტების მოღერება, უწმაწური სიტყვებით შეურაცხყოფა. მოთმინების ფიალა ივსება. გამომქომაგებელი არავინ ჩანს. სად ხდება ეს? - დედაქალაქში, საღამო ჟამს, ხალხმრავალ ქუჩაში.

გავხსნათ ფრჩხილები, ვამხილოთ ჩვენი დროის ქუჩის „რაინდები“. ესენი გახლავან: ზვიად გამსახურდია, ანატოლ მიქაძე, ვლადიმერ სიხარულიძე, თამაზ გუნჯუა, თეიმურაზ ცერცვაძე, თემურ მეტრეველი, მერაბ კოსტავა... თითქმის არ ყოფილა საღამო, რომ მათ ქუჩაში დებოში არ აეტეხოთ, ხულიგნური გამოხდომებით გამვლელ-გამომვლელნი, ჩვენი ქალაქის მშრომელები არ აღეშფოთებინოთ.

ვინ არიან ესენი? იქნებ უდედმამონი და მშობლიურ ზედამხედველობას მოკლებულნი? - სრულიადაც არა.

დავუშვათ ასეთი რამ: შედიხართ წიგნის მაღაზიაში. არჩევთ სიახლეს. თვალს იპყრობს ჩვენი ცნობილი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას ახალი რომანი - „ვაზის ყვავილობა“. ყიდულობთ. შინ მიგიხარიათ. გზაშივე ინტერესით ფურცლავთ წიგნს... ამ დროს პირველად აღწერილი ინციდენტი გატყდებათ თავს - ვიღაც მძლავრად გეჯახებათ და ზედ უწმაწური სიტყვების კორიანტელსაც გაყრით. წაფორხილდებით. ეს სქელტანიანი წიგნი ხელიდან გივარდებათ.

„ვინ არის, კაცო, ეს ბანდიტი?“ - უნებლიედ აღმოგხდებათ გულიდან.

იცნობდეთ - ზვიად კონსტანტინეს ძე გამსახურდია -მწერლის შვილი... ხომ გულსატკენია? მაგრამ სამწუხარო ფაქტია!

ვის ბაძავს მწერლის შვილი? ნუთუ მასთან უფრო ახლოს არ უნდა იყვნენ თუნდაც ის დადებითი გმირები, რომლებიც მამამისის ნაწარმოებებში გვევლინება? რათ უნდა ჰბაძავდეს იგი წყეული წარსულის ხორცმეტებს - იერემია წარბასა და ტარიელ მკლავაძეს? ნება გვიბოძეთ, კონსტანტინე გამსახურდიავ, გკითხოთ: როგორ მოხდა, რომ „დიდოსტატის მარჯვენის“ ავტორმა მხატვრული პროზის ოსტატის თქვენი საკუთარი მარჯვენა ვერ განავრცეთ თქვენს საკუთარ შვილზე?!

იქნებ ანატოლი მიქაძეა მშობლებს მოკლებული და ამიტომ უზედამხედველოდ იზრდება? არა. მისი მამა აბესალომი თბილისის პედაგოგიკის ინსტიტუტის სექტორის გამგეა.

ზოგჯერ მამა-შვილს შორის ოჯახში ასეთი დიალოგი იმართება:

„ტოლიკ, ბიჭო, წადი, რა, სტუმარი უხდა მომივიდეს“.

„წავიდე? მაიტა ფული და წავალ, არ მომცემ, არ გავალ!“.

„აჰა ხუთი, გეყოფა?“

„ხუთი თუმანი რა ფულია!“.

„აჰა კიდევ, ჩქარა წადი“.

კი მაგრამ სტუმარს რას უშლის ანატოლი? - ეს „განსაკუთრებული“ სტუმარია... საეჭვო ქალი! რა უნდა ისწავლოს ანატოლიმ იმ მამისაგან, ვინც ოჯახი დაანგრია და ქარაფშუტულ ცხოვრებას მიჰყო ხელი!.. ვფიქრობთ გასაგებია, თუ რატომ ვერ იყენებს ასეთი მამა თავის „პედაგოგიურ ნიჭს“ საკუთარი პირმშოს აღსაზრდელად.

...იქნებ ვლადიმერ სიხარულიძეა უდედმამო? - არა, ღმერთმა დაიფაროს! ვლადიმერის მამა საკმაოდ ცნობილი ამხანაგი ვასო სიხარულიძეა პასუხისმგებელი საბჭოთა მუშაკი. პასუხსაგები პოსტები უკავიათ აგრეთვე დანარჩენი ხულიგნების მამებს. ტარასი გუნჯუა სამედიცინო ინსტიტუტის დოცენტია; გიორგი ცერცვაძე - საბჭოთა არმიის პოდპოლკოვნიკი, დიმიტრი მეტრეველი - საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სამინისტროს უფროსი კონტროლიორი; განათლების დარგის მუშაკია ვლადიმერ დემურიაც, ვისთანაც იზრდება ამ ხულიგანთა „თაიგულის“ წევრი მერაბ კოსტავა, პატივცემული პედაგოგის შვილიშვილი.

იქნებ სკოლის გარეთ არიან ეს ახალგაზრდები და ამიტომ გზას აცდენილან? - არა.

თბილისის პირველ საშუალო სკოლაში მრავალი საუცხოო ახალგაზრდა იზრდება, მაგრამ მათთან ერთად ჯერ კიდევ ვხედავთ ხულიგანთა ზემოთდასახელებული „თაიგულის“ წევრებს, ვლადიმერ სიხარულიძეს, თამაზ გუნჯუას და თეიმურაზ ცერცვაძეს. ვერც 47-ე და 42-ე სკოლები დაიტრაბახებენ მოსწავლეთა შორის აღმზრდელობითი მუშაობის მაღალი დონით. ამ სკოლებში სწავლობენ ხულიგნები ზვიად გამ-

გაგრძელება მე-8 გვ

მართლმსაჯულება

# თენგიზ კიტოვანი: აფხაზეთში, თქვე დალოცვილებო, არძინბასთან ფლირტის სათამაშოდ ხომ არ მივდიოდი

მკითხველისათვის ცნობილია, რომ 8 ოქტომბერს დიდუბის რაიონის სასამართლომ (მოსამართლე ი.ხურციძე) 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა თენგიზ კიტოვანს, ქონების კონფისკაციითა და სასჯელის მკაცრი რეჟიმის კოლონიაში მოხდით.

განაჩენის გამოტანას თ. კიტოვანი არ დასწრებია, ისე როგორც დანარჩენი ორი ბრალდებული, ვინაიდან ისინი სასამართლოზე ცუდი ყოფაქცევისათვის სკოლის მონაფეებით გაძევებულნი იყვნენ კლასიდან (ბოდიშით, სასამართლოდან)...

ირაკლი სურგულაძე 13 ოქტომბერს განთავისუფლდება პატიმრობიდან, თენგიზ კიტოვანს კი, როგორც ითქვა, ხანგრძლივი იზოლაცია ელის. სასამართლოს დამთავრების შემდეგ მან ეს წერილი გამოუგზავნა რედაქციას.



კანონი და კანონიერება ყველასთვის ერთი საზომით უნდა აითვლებოდეს, მას უნდა იცავდეს დიდი თუ პატარა და პატივს სცემდეს ნებისმიერი რანგის მოხელე. ყველა ქვეყანაში კანონები ცივილიზებულ სახეს მხოლოდ მათი შესრულების, გატარების შედეგად იღებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, როცა კანონები - კანონებად, უმოქმედოდ და უსიცოცხლოდ რჩება, საზოგადოება იშლება და ირღვევა. დღეს მთელს საქართველოს უჭირს, ცა მიწად ჩამოსულა და მიწა ცად გადაგვეფარებია. ასეთ დროს განუკითხავად ზეიმობს ურჯულობა და უსამართლობით ვერავის გააკვირვებ. არც ის მიკვირს, რომ მე სახლის სამართლის დამნაშავედ წარმომაჩინონ, ხოლო სახელმწიფოს უმაღლესი რანგის მოხელე კი -ერისა და ქვეყნის მხსნელ პატრიოტად. რას იზამ?! როგორც იტყვიან, დრონი მეფობენო, მაგრამ, მიუხედავად გამეფებული ძალმომრეობისა და ბოროტებისა, მე მაინც შევეცდები ყველაფერს თავისი სახელი დავარქვა. უკვე ეხედავ სასაცილოდ შოშიასავით დალეწილ პირებს: რა დროს გაზეთისა და ცალკეული პიროვნებისადმი ჩადენილ უსამართლობაზე საუბარი, როცა მთელი ერის ყოფნა-არყოფნის საკითხი დგასო. რა ვქნა, ვერ ილევს ბატონებო, ქვეყნის პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე ამგვარი უსამართლობის გასარკვევად. და ჩემი ღრმა რწმენით, ძაღლის თავი სწორედ აქ მარხია: საქართველო იმიტომ მიექანება ქვევით, რომ მისი ხერხემალი დახარა უსამართლობამ, ხოლო ქვეყნის პირველი მოხელე „ვერ და არ" ილის უსამართლობის აღსაკვეთად. უფრო მეტიც, ამ უსამართლობას, ამკვიდრებენ თავადვე ისინი, ვინც ხელამძღვანელი უნდა იბრძოდეს მის აღმოსაძირკვავად. ო, ეს გახლავთ სწორედ თავი და თავი ჩვენი უბედურებისა. შევეცდები დავასაბუთო.

აგერ უკვე 21 თვეა ვერ ვამხნევ „კანონის დამცველებს", რომ მხოლოდ დამნაშავემ უნდა აგოს პასუხი კანონის წინაშე დანაშაულის მტკიცებულების მოპოვებით და არა „შევეთილი" სურვილით. ასეა ბატონებო, როცა კანონდამცავი ორგანო მოსწყდება მისთვის მინიჭებულ უფლებებს და მოექცევა ხელმძღვანელის გავლენის ქვეშ მოქმედებს მობრუნულად. ვერ ფლობს სიტუაციას და მდინარეში დიდ ნაფოტთან ერთად მიედინება.

მოვყვეთ ჩვენც ჩვენს საქმეს. საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ფრონტი, რომლის თავმჯდომარეც მე გახლდით, 1995 წლის 13-14 იანვარს შუქრია იმერეთის ტერიტორიაზე უშიშროების სამსახურმა და 1996 წლის 8 ოქტომბერს დასრულდა სასამართლო პროცესი ქ.თბილისის დიდუბის რაიონში (მოსამართლე ხურციძე - რაისასამართლოს თავმჯდომარე). სახელმწიფო ბრალმდებელი, რესპუბლიკის პროკურატურის სამართველოს უფროსი კაკაბერიძე! თურმე ნუ იტყვით, რაიონში და ქალაქში პროკურორები არ ყოფილან. სასამართლოს პირველი სხდომა გაიმართა 1995 წლის 27 დეკემბერს. საბრალდებულო დასკვნა ძირითადში აგებული იყო სსკ 238 პრიმა მუხლით „უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნა და მასში მონაწილეობა". მოვიშველიებ გენ. პროკურორის პირველი მოადგილის ბატონ რევაზ ყუფარის ბრალდებას: „გამოძიებით მთლიანად დადასტურებულია, რომ „ფრონტი" გახდა უკანონო შეიარაღებული ფორმირების ბაზა, რის უფლებაც მას არ ჰქონდა". ამასთან დაკავშირებით აბა მოუსმინეთ რას ამბობს საქმის გამომძიებელი დავით ჯინჯოლავა: „მოასწრეს (იგულისხმება იარაღი) გადაყრა, იარაღის ნაწილი კი საეჭვო ვითარებაში „გაქრა" და ახლა ვეძებთ ამ გარემოებას"-ო.

თქვე დალოცვილებო, ერთი უწყების მოხელეებო, თუკი არ ჰქონდათ მოძიებული და დამტკიცებული, რომ ფრონტს იარაღი გააჩნდა, მაშ რის საფუძველზე აცხადებდით: „ფრონტი გახდა უკანონო შეიარაღებული ფორმირების ბაზა"-ო. შემდეგ გენ. პროკურორის საგამოძიებო აპარატის უფროსის მოადგილე დავით ბოჭორიშვილი აცხადებს: „მათი დანაშაული ძიებით მთლიანად დადგენილია"-ო (იხილეთ „საქართველოს რესპუბლიკა" 17 იანვარი, 1996 წელი „ჩაშლილი ლაშქრობა"). არადა, სულ ჩატარებულია სასამართლოს 28 სხდომა, 200-დან დაიკითხა 53 მოწმე და არცერთად არ მტკიცდება, რომ ფრონტის წევრებს გააჩნდათ იარაღი. სასამართლოს წამყვანის ხურციძის დიდი მონდომებული მცდელობის მიუხედავად, მაინც ვერ „მოძებნა გასაღები" ამ ბრალდების დასტურად. მოწმეებად დაკითხულია მაღალი რანგის მოხელეები და ფრონტის „იარაღთან" რაიმე საქმიანი მასალა, პერსონიფიცირება, აქტირება ან ნივთიერი მტკიცებულებანი საბრალდებულო დასკვნის გასამყარებლად ვერ იქნა მოპოვებული. ყველამ ხელი „შეხოცა" უშიშროების ყოფილ შეფზე იგორ გიორგაძეზე. ისიც აღინიშნა, რომ 1995 წლის 13, 14 იანვარს აქცია ე.შევარდნაძესთან დაგეგმა და განხორციელება დავალა იგორ გიორგაძესო. იქნებ მართლაც „კარგად დაგეგმა", მაგრამ ჯერ იგორმა „წუწზე" იმუშავა, ხოლო შემდეგ ჯამლეთმა მთლად „გადამალაში". სასამართლო პროცესზე ისიც გამოიკვეთა, რომ სცემდნენ მოწმეებს და ისე აწერინებდნენ ჩვენებაზე ხელს. უფრო მეტიც, ჩემი საცხოვრებელი ბინა გაჩხრიკეს ოჯახის წევრების ან სხვა მოქალაქეების დაუსწრებლად და „თურმე აღმოუჩენიათ" საბრძოლო იარაღი. ე.ი. გამოდის, რომ სახლში „იარაღს ვტოვებდი" და ერთადერთი სტეჩკინის იარაღით მივდიოდი აფხაზეთში. თქვე დალოცვილებო, არძინბასთან ფლირტის სათამაშოდ ხომ არ მივდიოდი, დაფიქრებულხართ ამაზე? ნამდვილად სასაცილოა.

ვინმემ რომ არ იფიქროს, აბა რა - შიშველი ხელებით მიდიოდა ფრონტი, განგიმარტავთ ყველა ეჭვისას: ჩვენ დავბანაკდებოდით ქსნაკეში, შემდეგ უნდა ამოქმედებულიყო სამთავრობო ჯარი და მათგან იარაღის მიღებისთანავე, ჩვენს ბიჭებს მათი ხელმძღვანელობით ეთქვათ თავისი პატრიოტული სიტყვა. იქნებ პროკურატურას, უშიშროებას, მთავარსარდალს ეგონა, რომ სენაკში მივდიოდით სნიკერსისა და სხვა „პროდუქტის საშოვრად. განა თბილისში ვერ ვიშოვიდით, სენაკში რომ არ წავსულიყავით. ყოველივე ამაზე „იგორის ლაშქრობის" დღეებში არაერთი სატელევიზიო ინფორმაცია მიეწოდა მოსახლეობას, ბევრმა ალბათ დაიჯერა კიდეც, მაგრამ სად არის, ბატონებო, თქვენი ჭორების თუნდაც ერთი მტკიცება. ჩვენ, განსჯელებმა დავაყენეთ შუამდგომლობა სასამართლოს წინაშე გენ. პროკურორისა და პრეზიდენტის მოწმედ მოწვევაზე. მაგრამ ვინ ისმინა. ის კი არა, ფრონტის შტაბის უფროსი ზ. სამუშია არ იქნა მოწვეული სასამართლო სხდომაზე.

მოსამართლე ისე გაღიზიანდა, რომ დარბაზიდანაც გაგვაძევეს და ისე მიდიოდა სასამართლო მსჯელობა. ჩემს ინტერესებს კი არავინ იცავდა, მე ხომ ადვოკატი არ მყოლია.

მოწმეების არგუმენტაციების გამო, სასამართლო იძულებული გახდა აწლის 23 აგვისტოს გამოექვეყნებინა ფრონტის წესდება. სასამართლომ დაადასტურა: ფრონტი შექმნილია ყრილობის მიერ, რომელმაც დამტკიცა ფრონტის საბჭო, შეიმუშავა წესდება და წარუდგინა იუსტიციის სამინისტროს განსახილველად, ხოლო ამ უკანასკნელმა 1994 წლის 26 ოქტომბრის კოლეგიის გადაწყვეტილებით რეგისტრაციაში გაატარა. დამტკიცებულ წესდებაში ცალკე თავად გამოყოფილია ფრონტის უფლება-მოვალეობა. შემდგომ გადის თითქმის 2 თვეზე მეტი და დიდუბის რაიონის სასამართლო 1995 წლის 4 იანვარს (ჩვენს დაუსწრებლად) იუსტიციის სამინისტროს საფუძველს მოკლებული წარდგინებით იხილავს და ღებულობს (№2/5) გადაწყვეტილებას ფრონტის გაუქმების თაობაზე.

4 იანვრის სასამართლოს გადაწყვეტილებაში გამოკვეთილად აღნიშნულია, რომ ფრონტის წესდების რეგისტრაციის დროს იუსტიციის სამინისტრომ დაუშვა შეცდომა, როცა მათ უფლება მისცა წინააღმდეგობრივი მოძრაობის ორგანიზაციისა და სამხედრო ფორმირების შექმნაზე, ასევე ქვეყნისათვის საფრთხის აღმოცენების შემთხვევაში იარაღით გამოსვლის უფლება გაუქმდა იმ მოტივით, რომ ეს არის სახელმწიფოს ორგანოს პრეროგატივა. კეთილი და პატიოსანი, მაშინ იგივე უწყება, იუსტიციის სამინისტრო, 1995 წლის 14 აგვისტოს კვლავ უმტკიცებს და რეგისტრაციაში უტარებს წესდებას აფხაზეთის წინააღმდეგობის კომიტეტს, რომ შექმნან „სახალხო წინააღმდეგობის მოძრაობა, სახალხო ლაშქარი, პარტიზანული ჯგუფები და სხვა ფორმირებები" (მე-2 თავი, №2.2) რატომ ხდება ასე, განა იუსტიციის სამინისტროს მუშაკებმა არ იციან კანონმდებლობა? პირიქით, ჩემის აზრით ისინი მაღალკვალიფიციური მუშაკები არიან და თუ ეს ასე არ არის, მაშინ რას უყურებს ქვეყნის პრეზიდენტი - ვის სჭირდება, მის გარდა, „თვინიერი მინისტრები", რომელთა მოქმედებითაც მრავალი პატრიოტი მამულიშვილი ციხეებში იტანჯება, ან რას აკეთებს კანონზედამხედველი- გენერალურმა პროკურორმა ხომ მშვენივრად იცის ყოველივე ეს. მაგრამ სდუმს, რატომ? იმიტომ, რომ ის კანონს კი არ ემსახურება, არამედ პოლიტიკურ თამაშობანას ეწევა. მსურს შევახსენო ჯაბილაშვილს საკუთარი სიტყვები პროკურატურის კოლეგიის ერთ-ერთ სხდომაზე, რომელიც პრესაში გამოქვეყნდა: „ზოგიერთი ჩვენი მუშაკი მიეშვა პოლიტიკურ თამაშს, სხვადასხვა პოლიტიკურ ძალებთან კავშირებს. მათ ვურჩევდი, ამ თამაშს თავი დაანებონ და იყონ ისეთები, როგორიც ნამდვილი პროკურორი უნდა იყოს"-ო.

სწორი ბრძანდებით, ბატონო ჯამლეთ, უნდა შეეშვათ პოლიტიკანობას, ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს, ყველას აქვს უფლება, განსხვავებული აზრი იქონიოს, მაგრამ იმის უფლება არავის აქვს, თვით თქვენს „მეფესაც" კი, ამ განსხვავებული აზრის სისწორესა და სამართლიანობაში ისე დარწმუნებული იყოს, რომ სხვის განსხვავებული აზრის მოსმენაც არ სურდეს. რომ იცოდეთ, როცა ხალხი და მეფე ვერ უგებენ ერთმანეთს, მაშინ ან მეფემ უნდა გამოიცვალოს ხალხი, ან ხალხმა მეფე. პირველი შეუძლებელია, ამიტომ აღსრულდება მეორე. ყოველი ადამიანი, პიროვნება მის მიერ განვლილი გზით, ხალხისათვის გაწეული ნამსახურით ფასდება კაცს ორი სახელი უნდა ჰქონდესო, ამბობს ჩვენი ერი ერთი აქ დასარჩენი, მეორე თან წასაყოლი. მაგრამ გეტყვით პირდაპირ, თქვენ ბატონებო და თქვენს „მეფეს" არავისი ბედი ნამდვილად არ აგცდებათ. საერთოდ, იცოდეთ, ჩვენი დაპატიმრება ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს და ქვეყანაში დამკვიდრებული სრული უკანონობის, ყოველგვარი კანონების ერთი კაცის ნებით ჩანაცვლების მაგალითია. ედუარდ შევარდნაძემ ასე იცის გამოიყენებს ადამიანებს სანამ ისინი სჭირდება, ხოლო შემდეგ სხვადასხვა მეთოდით იშორებს მათ. ვინმესთან ან რამესთან სამარადჟამოდ დაკავშირება მას არ უყვარს (პირადად მე მისი მორჩილი არასოდეს ვყოფილვარ და მის ანტიეროვნულ მოქმედებაზე ყოველთვის ვიბრძოდი. ამის უამრავი ფაქტი არსებობს, ისეთ დონეზეც კი, როცა ჩვენს სახელმწიფოსთან დაკავშირებული საკითხი იხილებოდა რუსეთის პრეზიდენტთან. მაგრამ ამაზე სხვა დროს - თ.კ.) აბა, მოიგონეთ, როგორი სიტყვებით მიმართავდა ჯაბა იოსელიანს, როცა სჭირდებოდა „ქართველ რაინდს" და ა.შ. სხვათაშორის, „მეფემ" მეც დამაჯილდოვა ვახტანგ გორგასლის ორდენით, მაგრამ მე ის არ მივიღე, მითუმეტეს მისგან. კი ვიცოდი „მის ხელმეორედ შემობრუნებამდე" ვინც იყო, მაგრამ იმედს ვიტოვებდი, რომ წლოვანებაში შესული კაცი დაბრუნებოდა საკუთარ სამშობლოს და ელვაწა მისთვის. ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, რომ იგი კვლავ გააგრძელებდა ინტრიგას, ფლიდობას. სამწუხაროდ, ყველას ერთად შეგვეშალა, იგი ვერ წადგა ქვეყანას. მისი პოლიტიკა აშკარად დამღუპველია ერისათვის, კანონი მისთვის არაფერს ნიშნავს. განა მისი სიტყვები არ არის: „სანამ პირში სული მიდგას და ამ თანამდებობაზე ვიმყოფები - კიტოვანი ციხიდან ვერ გამოვა"-ო.

აქ საქმე მარტო ჩემზე არაა. უბრალოდ, ვახსენე იმიტომ, რომ კიდევ ერთხელ წარმოვაჩინო მისი კანონისადმი დამოკიდებულება. ვისაც მასთან უმუშავნია, დამეთანხმება, რომ არ უყვარს და არ პატიობს მოწინააღმდეგეს განსხვავებულ პოზიციას თუ აზრს. საერთოდ ცოდვება, როცა ვინმე ეწინააღმდეგება. არის ჯიუტად შემართული პიროვნება, რომელიც მიზნის მისაღწევად უკან არ იხევს და არც არაფერს ერიდება. თავისთავად ასეთი სიმტკიცე ადამიანის ნაკლად არ უნდა მივიჩნიოთ, მაგრამ მთავარი ის არის, თუ რა მიზანი ამოძრავებს ამ კაცს. ყველას კარგად ახსოვს, კარიერის კიბეებზე ასასვლელად იგი არაფერს თაკილობდა და ყველაფერს კადრულობდა, სოცარი ლიქნით ექცეოდა „ზემოთ" და ყველა მათ ნება-სურვილს, მიუხედავად იმისა, საზიანო იყო თუ არა ქვეყნისა და „ერისათვის, უყოყმანოდ [illegible] მონასავით [illegible] მათ. [illegible] ადვილად იცვლიდა. ან ვის სჯერა, რომ 70 წელს მიღწეულმა ქრისტიანული სარწმუნოება იწამა. ყველას ახსოვს, ახლო წარსულში ბრეჟნევი როგორ გაიხადა ხატად, შემდეგ ანდროპოვის სურვილების მორჩილი, მოგვიანებით ალტაცებით შესცეცინებდა თვალებში უკვე დაბრმავებულ ჩერნენკოს. ბოლოს გორბაჩოვის ერთგულ ჯარისკაცად, მეგობრად მოგვევლინა. ე.ი. ქადაგებდა იმას, რაც არასოდეს არ სწამდა. იქნება ვინმე მომედავოს და მითხრას, ყველაფერი ეს კეთდებოდა ერის საკეთილდღეოდო. არა, ბატონებო, ედუარდის მიზანი ყოველთვის იყო პირადი პოზიციებისა და სავარძლის გამაგრება. ზოგიერთებს არ გჯერათ? შედეგი ხომ თქვენს თვალწინაა, მისმა „რეფორმებმა" ხალხი დააბეჩავა, 15 ათასი პოლიციელიდან 30 ათასამდე გაზარდა, 300 ათასამდე ლტოლვილი, დაკარგული ძირძველი მიწები, სილატაკე, შიმშილი, ქართველი ქალი იმ ზომამდე მისული, რომ დედა შვილს ყიდის და მრავალი სხვა. კანონი კი მისთვის არ არსებობს. ამიტომაც საჭიროა, რომ ქვეყნის სათავეში ჯანსაღი ახალგაზრდა თაობა მოვიდეს, თანაც დროულად, რადგანაც ისე აწეწილ-დაწეწილია საქმეები, რომ შემდგომ მისი დალაგება და ქვეყნის წესრიგში მოყვანა თითქმის შეუძლებელი იქნება.

მე, თენგიზ კიტოვანი, ბრალს ვდებ ედუარდ შევარდნაძეს, ჯამლეთ ბაბილაშვილს და სხვებს, მთლიანად მის გუნდს, ვინც ქვეყანა მიიყვანა ანარქიამდე, ვინც მოუწამლა სულიერი საზრდო პატრიოტ ბიჭებს, ვინც ეცადა „ცომად" ექცია მთელი საზოგადოება. მაგრამ იცოდნენ მათ, ქართველი ერი მომთმენია, ერთ მშვენიერ დღეს „აიწყვეტს" ბორკილს და მაშინ უფალი არ შეიშმენს თქვენს აღსარებას.

ოდიოზური ფაქტია ისიც, რომ „ფრონტის" ასობით ადამიანი მხოლოდ იმიტომ ამყოფეს ციხეში შევარდნაძემ და ბაბილაშვილმა (და თანაც არა წინასწარი პატიმრობის საკნებში), რომ მათ სამშობლოს ოკუპირებული ნაწილისათვის, მრავალთაგანს კი საკუთარი სახლ-კარისა და მამა-პაპათა საფლავებისათვის, ბრძოლა მაშინაც არ შეუწყვეტიათ, როცა შევარდნაძის მთავარსარდლობით მოლალატეები ოკუპანტს აბარებდნენ ქართულ ტერიტორიას. თავის მოვალეობას სახელმწიფო დღესაც არ ასრულებს, უფრო მეტიც, თავად აფინანსებს ოკუპანტს და ამ ოკუპანტის მიერ ნასაზრდოებ მართლაც უკანონოდ შეიარაღებულ ფორმირებებს, მიტაცებული ქართული მიწის საზღვრებს - ეს ხომ ეროვნულ-გამათავისუფლებელი ფრონტის ბიჭების ბრალი არ არის.

ზემოთ მოგახსენეთ და აქაც ვიმეორებ, დიდუბის რაიონის სასამართლომ 1995 წლის 4 იანვარს № 2/5 გადაწყვეტილებით გააუქმა ფრონტის საქმიანობა, მაგრამ საკასაციო ვადად დაინიშნა 14 დღის ხანგრძლივობით ე.ი. ფრონტი რეგისტრირებული წესდების ფარგლებში კანონიერ უფლებებს ინარჩუნებდა 1995 წლის 19 იანვრამდე, რაც 1996 წლის 23 აგვისტოს სასამართლოს სხდომაზე ხურციძემ აღიარა და ოქმითაც დააფიქსირა, რომ ფრონტი კანონიერი იყო საკასაციო ვადის პერიოდშიც, რა თქმა უნდა, იგი კანონიერი იყო 1995 წლის 13-14 იანვარსაც, ანუ ფრონტის დაპატიმრების მომენტისათვის და ძიებას არავითარი საფუძველი არ ჰქონდა მისთვის უკანონო ეწოდებინათ.

აი, ასეთ პატივს სცემენ სამართალდამცავი ორგანოები კანონს. საკასაციო სასამართლო გაგრძელდება... შემდეგ მოგელენებს დამატებით გაეცნობით.

თენგიზ კიტოვანი
ქ.თბილისი, ორთაჭალის ციხე

## «გინდათ სიმართლე?...»

დიდუბის რაიონის სასამართლომ, სახელმწიფო გადატრიალების მცდელობისათვის და უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნისათვის საქართველოს თავდაცვის ყოფილ მინისტრს თ. კიტოვანს რვა წლით, ვ. ფისუნს ექვსი წლით, ხოლო ი. სურგულაძეს 1 წლით და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ამ უკანასკნელის სასჯელის ვადა 13 ოქტომბერს იწურება.

სასამართლომდე თ. კიტოვანმა ორთაჭალის ციხიდან ღია წერილი გაუგზავნა საქართველოს გენერალურ პროკურორს ჯ. ბაბილაშვილს და უზენაეს სასამართლოს იმ იმედით, რომ საბოლოო განაჩენის გამოტანამდე ჯ. ბაბილაშვილი თავის თანამდებობაზე აღარ იქნებოდა. წერილში თ. კიტოვანი ბრალს სდებს გენ. პროკურორს საზოგადოებრიობის დეზინფორმირებასა და ცილისწამებაში, ამტკიცებს რა, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ფრონტის აქცია სამშვიდობო იყო. მასში ასევე ნათქვამია, რომ გენერალურმა პროკურორმა საზოგადოებას დაუმალა ის ფაქტი, რომ "1995 წლის 13 იანვარს ე. შევარდნაძის განკარგულებით დაიხვრიტა ფრონტის 6 შეუიარაღებელი წევრი." გენერალურ პროკურორს ასევე ბრალი ედება ბინძურ საქმეებში. "მოვიდეს ჩემთან გ. ბარამიძე და მე მას მოვუყვები თქვენს "საგმირო საქმეებზე".

დასასრულს ყოფილი თავდაცვის მინისტრი გულწრფელად მიმართავს გენ. პროკურორს: "გინდათ სიმართლე - საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი ნავთობი ერთ კაცს - ედუარდ შევარდნაძეს ეკუთვნის."

იფრინდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გაძლიერებულია საბრძოლო მზადყოფნა

აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე განლაგებული რუსეთის სამშვიდობო ძალების ქვედანაყოფები და აჭარაში დისლოცირებული ნაწილები გაძლიერებულ საბრძოლო მზადყოფნაზეა გადაყვანილი. ამის შესახებ სააგენტოს კორესპონდენტს აცნობა საინფორმაციო წყარომ ა/კ რუსეთის ჯარების დაჯგუფების შტაბიდან, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გაძლიერებულია სამხედრო ქალაქების, საწვავლო ცენტრებისა და სტრატეგიული ობიექტების დაცვა. ამავე დროს გაძლიერებულია დაცვა და კონტროლი იმ კომუნიკაციებზე, რომელიც აღნიშნულ რეგიონებს თბილისთან აკავშირებს. გაძლიერებულია ასევე საბრძოლო მზადყოფნა რუსეთის ფედერაციის შავი ზღვის ფლოტის საზღვაო ნაწილებში სოხუმში, ფოთსა და ბათუმში. მინიმუმამდეა დაყვანილი აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ავტოტრასებზე ტრანსპორტის გამტარუნარიანობა თბილისის მიმართულებით და პირიქით. იმავე წყაროს ცნობით, თბილისი - ვლადიკავკაზის ტრასა აყვანილია რუსი მესაზღვრეების გაძლიერებულ კონტროლზე. დამკვირვებლები ვარაუდობენ, რომ რუსი სამხედროების მიერ ძალის დემონსტრირება გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ საქართველომ უარი განაცხადა დსთ-ს გარე საზღვრების ერთობლივი დაცვის დოკუმენტში მონაწილეობის მიღებაზე. გარდა ამისა, საქართველოს ხელმძღვანელობამ განაცხადა თავისი საგარეო პოლიტიკის ორიენტაციის შესაძლო შეცვლის შესახებ.

## აჭარა - «რუსული ოაზისი»

მ. კოსტავას საზოგადოებაში დღეს გამართული პრეს-კონფერენცია აჭარის ა/რ უზენაესი საბჭოს არჩევნებს მიეძღვნა. აღინიშნა, რომ არჩევნების სამივე ეტაპზე ადგილი ჰქონდა საარჩევნო კანონის უხეშ დარღვევას. წინასაარჩევნო პროცესში ხელისუფლების მითითებით მიმდინარეობდა ცილისმწამებლური პოლიტიკა. სისტემატური ხასიათი ჰქონდა დეპუტატობის კანდიდატებზე ზეწოლას, როგორც უშიშროების სამსახურის, ისე ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან.

როგორც პრეს-კონფერენციაზე აღინიშნა, მასიური ხასიათი ჰქონდა ბლოკ „ოპოი ნანას" წევრებისა და საარჩევნო კომისიის წარმომადგენელთა არშეშვებას საარჩევნო ოლქებში. საზოგადოების წევრის მ.ხუციშვილის განცხადებით, არჩევნების დღეს ამომრჩევლებს პირადობის დამადასტურებელი მოწმობის გარეშე რამოდენიმე ბიულეტენი ერთად დაურიგდათ. „აჭარას ჰყავდა და ჰყავს რუსული ხელისუფლება. რუსეთი შეეცდება, რომ შეინარჩუნოს აჭარა, როგორც „რუსული ოაზისი". ე.შევარდნაძემ აჭარა რუსეთთან „საჩილდაო ქვად აქცია" - განაცხადა საზოგადოების თავმჯდომარემ ვ.ადამიამ.

პრეს-კონფერენციაზე ჟურნალისტებს დაურიგდათ მიმართვის ტექსტი რესპუბლიკის პროკურორის, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის სახელზე, სადაც მ.კოსტავას საზოგადოება მოითხოვს - ბათილად ცნონ აჭარის ა/რ უზენაესი საბჭოს არჩევნები. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაეკისროთ აჭარის ა/რ ხელისუფლებასა და სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს.

გაკეთდა ასევე განცხადება, რომელიც გაეგზავნა გაეროს, ეუთოს, ევროპარლამენტს, აშშ-ის საერთაშორისო საქმეთა ეროვნულ-დემოკრატიულ ინსტიტუტს, საერთაშორისო საზოგადოება „სამართლიან არჩევნებს", საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, გერმანიის და აშშ-ს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩებს საქართველოში აღნიშნული განცხადებით საზოგადოება მსოფლიოს ამცნობს აჭარის უზენაესი საბჭოს არჩევნების არადემოკრატიულობას.

იპრინდა

# ნოდარ ნათაძე: გვემუქრება 1937 წელი

## პირადი განცხადება


ზვიად გამსახურდია

მკითხველს მოეხსენება, რომ მე წელიწადზე მეტის წინ მქონდა ცნობა, რომ სახელმწიფოს მეთაური შევარდნაძე და მისი გუნდი აპირებენ საქართველოში დიდმასშტაბიანი პოლიტიკური რეპრესიებისა და ანგარიშსწორების - ე.წ. „1937 წლის" - ჩატარებას ე.წ. „ზვიადისტების", ხოლო შემდეგ - დანარჩენი ეროვნული ძალების მიმართ. ამის შესახებ განვაცხადე პარლამენტში. იმხანად დააპატიმრეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ყოფილი წევრი ზ.ძიძიგური, ხოლო რამდენიმე თვის შემდეგ - იმავე საბჭოს ყოფილი წევრი ნ.მოლოდინაშვილი. დღეს პროკურორი მოითხოვს სამი პირის, მათ შორის ზემოხსენებული ზ.ძიძიგურის დახვრეტას, ხოლო ნ.მოლოდინაშვილისათვის თავისუფლების აღკვეთას 13 წლით. ვიცი რა, რომ როგორც მანამდე წარმოებული სასამართლო პროცესი, რომელიც სასიკვდილო განაჩენებით დასრულდა, ისე მიმდინარე პროცესი შეიცავს უხეშ პროცესუალურ დარღვევებს (მათ შორის - მოწმის ძალად მოყვანას მოსამართლის სახლში მასზე ზემოქმედების მიზნით. იხ. გაზ. „ახალი თაობა" ), მე უფლება მაქვს დავასკვნა, რომ ჩემამდე მოსული ინფორმაცია ზემოხსენებული „1937 წლის" შესახებ სინამდვილეს შეესაბამება და საქართველოს დღევანდელ ხელისუფალთ მართლაც განზრახული აქვთ სასამართლო ფარსთა მოწყობით საქართველოში სისხლიანი ტერორის ატმოსფერო დაამყარონ. ჩემი უფლებაა, აგრეთვე, მკითხველს ამ ზრახვის პოლიტიკური მოტივების ჩემეული ინტერპრე-



ტაცია და საქართველოს წინააღმდეგ ხლართულ შეთქმულებათა (მათ შორის - საერთაშორისო შეთქმულებათა) მექანიზმების ჩემეული ახსნა შევთავაზო. ამას შემდგომში ვიზამ. ამჟამად კი იმას შევასრულებ, რაც ჩემი მოვალეობაა (და არა მხოლოდ უფლება): ვისარგებლებ რა იმით, რომ საბრალდებო დასკვნის (საქმე № 7499527) წაკითხვის საშუალება მაქვს, გამხილებ იმ სიყალბეებს, რომელზეც მე შემიძლია ვიმსჯელო როგორც თვითმხილველმა ან უშუალოდ თვითმხილველთაგან ინფორმირებულმა პირმა. დღეს, გასაგები მიზეზების გამო, შევეხები დასკვნის მხოლოდ პირველ ოც ფურცელს (მასში სულ 866 ფურცელია) და არ შევეხები და არ დავიმოწმებ არაფერს შემდგომი ფურცლებიდან, რაც უნდა მნიშვნელოვან მოვლენებს და ეპიზოდებს შეეხებოდეს საქმე. დარწმუნებული ვარ, რომ ინფორმირებული ადამიანები გზადაგზა გამოეხმაურებიან ამ მასალათა პუბლიკაციებს მომდევნო ნომრებში და, ამგვარად, მასალა დაგროვდება საქმის ჭეშმარიტი გამოძიებისათვის მომავალში, რომელიც დღეს არსებულ არაობიექტურ დასკვნას შეცვლის. მოსახსენებელი მაქვს, კერძოდ, შემდეგი:

პროკურორი წერს, რომ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარისა და პრეზიდენტის თანამდებობებზე მუშაობის პერიოდში ზ.გამსახურდიამ „განზრახ ჩაიდინა მძიმე დანაშაულობანი, მანვე სამსახურეობრივი მდგომარეობა სისტემატურად, ანგარებით და პირადი მოტივით გამოიყენა ბოროტად, რამაც არსებითი ზიანი მიაყენა სახელმწიფოს, საზოგადოების და მოქალაქეთა კანონიერ ინტერესებს, რასაც განსაკუთრებით მძიმე შედეგი მოჰყვა" (გვ. 7) და, სხვათა შორის, ასახელებს შემდეგს:

1. პროკურორის სიტყვით, გამსახურდიას მიერ „ხელისუფლების უზურპაციის, არაკომპეტენტურობის და უუნარობის გამო რესპუბლიკის ეკონომიკურ-ფინანსური მდგომარეობა კრახის წინაშე აღმოჩნდა. უაღრესად დაიძაბა კრიმინოგენული ვითარება... საზღვარგარეთის ქვეყნების უმაღლესი თანამდებობის პირთა პატივს და ღირსებას სისტემატურად და საჯაროდ შეურაცხყოფდნენ, რამაც რესპუბლიკა სრულ იზოლაციაში მოაქცია." (გვ.8)

ეს არაა მართალი. კრიმინალური ვითარების „დაძაბვას" თავისი სტატისტიკური მაჩვენებლები აქვს. როგორც უკვე ვთქვით, ეს დაძაბვა მხოლოდ სიგუა-კიტოვანი-იოსელიანი-შევარდნაძის მმართველობას ეკუთვნის. საქართველოს იზოლაციას რაც შეეხება, იგი არ იყო გამოწვეული რომელიმე უცხოელთა შეურაცხყოფით, საქართველოს ცნობას აძნელებდა სსრკ-ს ჯერ კიდევ არსებობა (იურიდიულად) და რუსეთის საპროპაგანდო მანქანის მუშაობა.

2. პროკურორის სიტყვით, გამსახურდიას ხელისუფლება „საზოგადოებაში ქმნიდა დაუსჯელობის, ქაოსის და არეულობის ვითარებას". (გვ. 7).

ესეც არაა მართალი. საყოველთაოდ ცნობილია, რომ „დაუსჯელობის ვითარება" გამსახურდიას არ შეუქმნია, დაუსჯელობისა და ქაოსის კლასიკური ვითარება საქართველოში მხოლოდ სიგუას, კიტოვანის, იოსელიანის და შევარდნაძის მმართველობაში შეიქმნა.

3. პროკურორი წერს: „1991 წლის 19 აგვისტოს ზ.გამსახურდიამ ქ.მოსკოვში ჩამოყალიბებული უკანონო, განსაკუთრებული მდგომარეობის კომიტეტის წინადადებით საქართველოს კონსტიტუციის 10-4 და 121-4 მუხლების მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ ერთპიროვნულად მოახდინა საქართველოს ეროვნული გვარდიის რეორგანიზაცია, რამაც განსაკუთრებით მძიმე შედეგები - ეროვნული გვარდიის ნაწილების დაუმორჩილებლობა, რესპუბლიკაში პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების დესტაბილიზაცია გამოიწვია". (გვ. 8)

გამსახურდიამ რომ ГКЧП-ს მხრიდან საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო მოქმედების შიშით დათმო და გვარდიას სტატუსი დაუქვეითა, ეს, ჩემის აზრითაც, შეცდომა აღმოჩნდა (ГКЧП-მ სულ ერთ დღეს გაძლო). მაგრამ ეს არ იყო საკმარისი საფუძველი გვარდიის ამბოხებისათვის. იგი რუსეთის აგენტურის ორგანიზებული იყო, რისი გამოძიებაც დღემდე არ დაწყებულა.

4. პროკურორის სიტყვით, „ზ. გამსახურდიას და მისი თანამზრახველების საქართველოდან გაქცევის შემდეგ, ქვეყანაში შეიქმნა ხელისუფლების ვაკუუმი, რის გამოც მართვა — გამგეობა ხელში აიღო ჯერ სამხედრო, შემდეგ კი სახელმწიფო საბჭომ, ხოლო 1992 წლის 11 ოქტომბერს საქართველოს მოსახლეობამ საყოველთაო და თანასწორუფლებიანი საარჩევნო პრინციპების დაცვით აირჩია საქართველოს პარლამენტი და შეიქმნა ლეგიტიმური ხელისუფლება.

ზ.გამსახურდიამ ქ.გროზნოში, საქართველოს რესპუბლიკის საწინააღმდეგოდ ორგანიზება გაუკეთა, დაგეგმა და განახორციელა განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულობანი. მან ჩამოაყალიბა სამშობლოს მოღალატეთა ორგანიზებული ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ (დასახელებულია გვარები)... ამ პირებმა უღალატეს რა სამშობლოს, მოაწყვეს შეთქმულება სახელმწიფო ხელისუფლების დამხობისა და ძალაუფლების ხელში ჩაგდების მიზნით". (გვ. 12).

ეს მსჯელობა სიყალბის და იურიდიული უმეცრების ნიმუში გახლავთ. ჯერ ერთი, „სამხედრო საბჭო" იმიტომ კი არ შეიქმნა, რომ ხელისუფლების „ვაკუუმი" შეიქმნა, არამედ „ვაკუუმი" იმისთვის შეიქმნა, რომ „სამხედრო საბჭო", შემდეგ კი „სახელმწიფო საბჭო" მოსულიყო და ქართული სახელმწიფოებრიობის საბოტირება მოეხდინა. თუ ასე არაა, მაშინ დოკუმენტში ნაჩვენები უნდა იყოს, როგორ მოხდა გადატრიალება „საბჭოების" მომავალ წევრთა ნების გარეშე. მეორეც, საქართველოს ერთადერთი კანონიერი ხელისუფლება ზ.გამსახურდიასი იყო და როგორ აღმოჩნდნენ ზ.გამსახურდიას მომხრენი „ხელისუფლების" მოწინააღმდეგენი? „სამშობლოს ღალატის" ცნება ვერ მიუდგება იმას, ვინც ერთადერთ კანონიერ ხელისუფლებას იცავს უზურპატორთა წინააღმდეგ. ამგვარად, ვერც ქობალიას და ვერც სხვათა მოქმედებისადმი 1992 წლის 11 ოქტომბრის არჩევნებამდე და 14 აგვისტოს შეიარაღებული მოქმედების დაწყებამდე ამ ცნების მიყენების საკითხი ვერც კი დადგება.

5. პროკურორის სიტყვით, „ზ.გამსახურდიას ხელისუფლებამ დიალოგის, სადაო საკითხების განხილვის და კანონიერი გადაწყვეტილების მიღების ნაცვლად შეწყვიტა მშვიდობიანი ურთიერთობა ოპონენტებთან. სატრანსპორტო და სამშენებლო ბარიკადებით გადაკეტა უზენაესი საბჭოს წინა მოედანი და თვით შენობაში განათავსა საბრძოლო ტექნიკით აღჭურვილი პოლიციის, გვარდიის ნაწილები და ხელისუფლების მხარდამჭერი შეიარაღებული პირები." (გვ.9) ეს ცილისწამებაა. „ოპოზიციონერი დეპუტატი" მეც გახლდით, მაგრამ არ ყოფილა შემთხვევა, რომ მე (გარდა ერთი სხდომისა, როცა ავად ვიყავი) სხდომაზე არ მივსულიყავი ან ვერ შევსულიყავი. ასევე ყველა სხვაც. ასევე სიცრუეა, თითქოს ამ საქმეში მე, შეიძლება ითქვას, უშუალო მონაწილე ვარ და შემიძლია ბრალმდებელს სიცრუე პირში ვამხილო. სხვების გარდა, მეც სისტემატურად მივდი-მოვდიოდი უზენაეს საბჭოსა და თბილისის ზღვას შორის, რათა საერთო ენა მონახულიყო. მოლაპარაკება არ შეწყვეტილა. უკანასკნელად მე ვიყავი ზღვაზე 17 დეკემბერს და მეტად აღარ წავსულვარ მხოლოდ იმიტომ, რომ შევატყე, ზღვაზე მყოფთ მეტზე ველარაფერზე დავიყოლიებდი. აქ დასახელებულ მოქმედებებში ზოგიერთი ხელისუფლების სისუსტის მაჩვენებელია, მაგრამ არც ერთი არაა უკანონო.

6. პროკურორის სიტყვით, „უზენაესი საბჭოს დეპუტატების ნაწილი ასევე უკმაყოფილებას გამოსთქვამდა ხელისუფლების უკანონო ქმედებათა გამო, რისთვისაც მათ რიგ შემთხვევებში უზენაესი საბჭოს სხდომებზე არ უშვებდნენ ამ მიზნით სპეციალურად დაქირავებული და გაწვრთნილი პროვოკატორები ე.წ. „კარვის ქალები", რომლებიც ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდნენ მათ.

7. 1991 წლის დეკემბრის დასაწყისში, პროკურორის სიტყვით, გამსახურდიას „ხელისუფლებამ მოსალოდნელი შეიარაღებული შეტაკების თავიდან ასაცილებლად არ გაატარა ჯეროვანი ზომები ოპოზიციის უკანონოდ შეიარაღებული ჯგუფების განიარაღების და მათ მიმართ კანონიერი ზომების მისაღებად." (გვ. 9). ეს „შეიარაღებული ძალები" ისინი არიან, ვინც გადატრიალება მოახდინა და ვის განაწყენებასაც, გვარდიის სტატუსის შეცვლის გზით, პროკურორი გამსახურდიას დანაშაულად უთვლის. ამათვე არგანადგურებას პროკურორი გამსახურდიას დანაშაულად უთვლის.

8. პროკურორის სიტყვით, უზენაესი საბჭოს შენობის წინ დაიწყო შეიარაღებული ძალების დემონსტრირება იქ მყოფ ოპოზიციურად განწყობილ პირთა დასაშინებლად და შეთანხმებული მიტინგის ჩასაშლელად.

9. პროკურორს ავიწყდება იმის თქმა, რომ, როგორც ეს მთელმა თბილისმა იცის, მთავრობის სახლთან მოგროვილები „ოპოზიციონერები" კი არ იყვნენ, არამედ შეიარაღებული ნაწილები.

პროკურორი წერს ბრალდებულებზე, რომ „მათ გზების ჩაკეტვით მოუსპეს უკანდახეულ სამთავრობო ჯარებს და აფხაზეთიდან დევნილ მშვიდობიან მოსახლეობას, უმოკლესი გზით, ქუთაისსა და აღმოსავლეთ საქართველოში დროულად და უსაფრთხოდ დაბრუნების საშუალება". (გვ. 20) პროკურორის სიტყვით, ბრალდებულთა მიერ ორგანიზებული ბანდების მეშვეობით გზების ჩაკეტვის გამო, აფხაზეთიდან უკან დაბრუნებული სამთავრობო ჯარები და დევნილი მშვიდობიანი მოსახლეობა და მათ შორის მრავალი მოხუცი და მცირეწლოვანი ბავშვი იძულებული გახდა სვანეთის გავლით, მკაცრ კლიმატურ პირობებში ფეხით ევლოთ, რის გამოც გზაში დაიღუპა 346 ადამიანი, დევნილებმა დაკარგეს ქონება, ხოლო მებრძოლებმა შეიარაღება და სხვა აღჭურვილობა. ეს უკვე არაერთხელ მხილებული ცილისწამება გახლავთ. სოხუმიდან ლტოლვილები ზუგდიდში ვერ მიდიოდნენ, რადგან კოდორი მოწინააღმდეგეს ეკავა.

საზოგადოებას ვპირდებით, რომ ამ არაობიექტური დასკვნის ძირითადი ნაწილები გამოქვეყნდება კომენტარებით და საზოგადოებას საშუალება ექნება, სურათი იმ მოწმეთა ჩვენებით შეავსოს, ვისი გამოძახებაც სასამართლომ არ ინება. ნურავის დაავიწყდება, რომ რაც უფრო მძიმეა საქმე, მით უფრო დიდი სიზუსტით უნდა იქნას გამოძიებული იგი. ჩვენ ვერ მივცემთ ვერავის იმედს და, მით უმეტეს, გარანტიას, რომ სისხლიანი კომუნიზმის აღდგენის მცდელობას საქართველოში არავინ შეეწირება. მაგრამ იმის გარანტიას კი მოგცემთ, რომ ეს მცდელობა მარცხით დამთავრდება!


ჯამბულ ბოკერია

მე-11 კლასელებისა და აბიტურიენტებისათვის

# კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა“

## განხილვა

ნოდარ ზრიგალაშვილი

გაგრძელება. დასაწ. იხ. „საქართველო“ №44, 45, 46, 47, 48.



## თავი III

### პიროვნება და სახელმწიფო „დიდოსტატის მარჯვენის“ მიხედვით

ფილოსოფოსები ასეთ დასკვნას გვთავაზობენ: სახელმწიფოს არ აქვს მორალი, სახელმწიფოს არ გააჩნია ზნეობა.

სახელმწიფოს რაობას სხვა ეთიკური კატეგორიები მიესადაგება - სამართლიანობა ან უსამართლობა.

პიროვნება შეიძლება იყოს ზნეობრივი ან უზნეო, სამართლიანი ან უსამართლო. სახელმწიფო არ შეიძლება იყოს ზნეობრივი ან უზნეო, იგი მხოლოდ სამართლიანია ან უსამართლო და როცა ჩვენ ხშირად სახელმწიფოს ზნეობაზე ვლაპარაკობთ, მექანიკურად ტოლობის ნიშანს ვსვამთ სამართლიანობასა და ზნეობას შორის.

ის, რაც უზნეობად ითვლება პიროვნებისთვის, შეიძლება სამართლიანობად ჩაითვალოს სახელმწიფოსათვის. მაგალითისათვის, - კაცის მიერ კაცის მოკვდინება ყველაზე საშინელი ცოდვაა, მაშინ როცა იმავე აქტს სახელმწიფო სამართლიანობის სახელით ჩადის.

ამ მომენტის გაუთვალისწინებლის გარეშე, ალბათ, არ უნდა , ვიმსჯელოთ „დიდოსტატის მარჯვენის“ იმ პერსონაჟებზე, რომელნიც სახელმწიფოებრივი იდეით, საქართველოს ერთიანობისა და დამოუკიდებლობის სურვილითა და რწმენით არიან შეპყრობილნი, რომელნიც თავდ განასახიერებენ ამ იდეას.

ეს მომენტი, პიროვნებისა და სახელმწიფოს მორალურ-ზნეობრივი კატეგორიების რაღაც მომენტებში არათანხვედრილობა, ზოგჯერ პიროვნების სახელმწიფოსთან დაპირისპირებას იწვევს.

გაიხსენეთ შორენა, რომელიც ზნეობრივად მართალია გიორგი მეფისადმი განზრახულ შურისძიებაში, ვინაიდან მის თვალწინ ამოუშანთეს მამამისს თვალები, მაგრამ უსამართლოა იმავ მეფისა და სამშობლოს მიმართ, ვინაიდან თალაგვა კოლონკელიძე, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, სავსებით სამართლიანად დაისაჯა.

ზოგჯერ პირიქით, პიროვნებისაგან უახლოესი ადამიანების ინტერესების უგულვებელყოფას იწვევს.

კონსტანტინე არსაკიძე ფაქტობრივად განზე განუდგა შეთქმულებასთან დაკავშირებით საყვარელ ქალს, ვინაიდან შორენას ერთგულება ამ საქმეში ქვეყნის ორგულობას ნიშნავდა.

დაბოლოს, პიროვნებისა და სახელმწიფოს ინტერესთა არათანხვედრილობა არცთუ იშვიათად პიროვნების შინაგანი გაორების საფუძველია და პიროვნების რაობაც იმით მჟღავნდება, თუ საით გადაიხრება მის გრძნობათა ბარომეტრი, პიროვნულისა თუ სახელმწიფოებრივისაკენ.

გაიხსენეთ მეფე გიორგის სულის მდუღარება მისი საყვარელი შორენას მამის დასჯის წინ.

ახლა კი კონკრეტულად იმ პერსონაჟთა შესახებ, რომელნიც საქართველოს ერთიანობისა და დამოუკიდებლობის დიდი ვნებით არიან შეპყრობილნი.

### გიორგი I

არათუ მეფე, თავისი ქვეყნის სიმბოლო, წარსულის, აწმყოსა და მომავლის წინაშე უზარმაზარი პასუხისმგებლობის ტვირთწამოკიდებული, არამედ რიგითი მოქალაქეც კი, თუკი სხვებზე ნაადრევად დააწვება პასუხისმგებლობის ტვირთი, იძულებულია დაემშვიდობოს ყმაწვილკაცობის უდარდელი მინიჭებულ სილაღეს.

„სადა ხარ სიბერევ, უშენოდ ვბერდები“ - პოეტის ამ სიტყვებში გარემოებათა გამო ახალგაზრდობაწართმეულთა სატკივარი ხმიანობს.

თორმეტი წლისა იყო, როცა მეფედ აკურთხეს.

„მეფე ხარ და ხამს“

„მეფე ხარ და გმართებს“ - ჩაესმოდა დღენიადაგ მზრდელის ხმა, მაშინ როცა მისი ცოლები ჯერაც ბელურებს დასდევდნენ დასაჭერად...

ცოლიც უსიყვარულოდ შერთეს, ჩვეული პოლიტიკური ანგარიშიანობით.

ახალგაზრდობაში დაკარგული თავისუფლების ანაზღაურებას მოწიფულ ასაკში ცდილობს მეფე.

გლახუნა ავშანიძედ გარდასახული ხან სანადიროდ დაეხეტება თანშეზრდილ ყმებთან ერთად, ხან უზომოდ შეექცევა ღვინოს, ხანაც, სასახლის ეტიკეტიდან და დედოფლის „მეურვეობიდან“ თავდაღწეული, მშვენიერ სქესთან ნებივრობს.

მოკვდავნი დიდებისაკენ ილტვიან, დიდებულთ კი ხშირად ენატრებათ უბრალო მოკვდავთა უბრალო ცხოვრება.

გიორგი პირველი სწორედ იმით არის ახლობელი და მის განცდებთან მკითხველს იმადაც აქვს თანაზიარობის გრძნობა, რომ მისთვის არაფერი ადამიანური უცხო არ არის. თუმცა, მეფის ტვირთი აიძულებს მოთოკოს ვნებანი და მხოლოდ დრო და დრო სახით, სახელითა და სამოსელით სახეცვლილი გავიდეს ხალხში. მაგრამ როლის გამოცვლა სულაც არ არის პირობა ხვედრის შემსუბუქებისათვის, რადგან სული, მარტოკაცობის მძიმე განცდით შეპყრობილი, ძნელად ემორჩილება გარეგნულ ექსცესებს.

თავისი ხანმოკლე სიცოცხლის მიწყურულს მეფეს ნამდვილი სიყვარული ეწვია. ძლიერი მამაკაცური ვნებით შეუყვარდა კოლონკელიძის ასული შორენა. ჰიდილი მეფის მოვალეობასა და სიყვარულს შორის პირველის გამარჯვებით დასრულდა ჯერ კიდევ კვეტარის ციხეში, როცა გიორგიმ უარი უთხრა შორენას, შეეწყალებინა თალაგვა.

მეფე ქვეყნის ინტერესს უქვემდებარებს პიროვნულ სურვილებს, თუნდაც ეს ინტერესი ამ სურვილებზე უარის თქმას აიძულებდეს.

დანარჩენი ცოდვანი მისატევებელია.

როცა ამბობენ - რაც ეპატიება იუპიტერს, არ მიეტევება ხარსო - უპირველესად იგულისხმება ის, რომ თუ თავისი დიდი მოვალეობის წინაშე პირნათელია კაცი, ეპატიება იმაზე მეტი, ვისაც ამ ცოდვათა მოთოკვის გარდა სხვა რამ არცარა მოვალეობა აკისრია...

ცხადია, ეს ცოდვათა გამართლებას არ ნიშნავს, გამართლების ნაცვლად უპრიანია აქ სიტყვა გაგება ვიხმაროთ.

ცხადია, დანაშაული იყო არსაკიძისათვის მკლავის წარკვეთა. მაგრამ კურიოზია მტკიცება იმისა, რომ მეფის ამ საქციელის მიხედვით ვიმსჯელოთ ხელოვანის ბედზე ტირანულ სახელმწიფოში, ვინაიდან მეფემ არსაკიძე როგორც ხელოვანი კი არა, როგორც მეტოქე, რაყიფი, სიყვარულში მოცილე დასაჯა. ისე, როგორც გაიმეტა საკუთარი დედაშვილი გიორგი ერისთავი, მოაწამვლინა ქიაბერი. ამ ანალოგიით კი, შეიძლება ვიმსჯელოთ მეფის დედაშვილების ან საწყალი ერისთავების ბედზეც ტირანულ სახელმწიფოში, რაც აბსურდია.

როგორც ჩვეულებრივი მოქალაქის, ისე მეფის ადგილი ამ მზისქვეშეთში იმითაც განისაზღვრება, თუ რამდენად გრძნობს იგი საკუთარი მისიის პასუხისმგებლობას.

გიორგი I უპირველესად საკუთარი ღირსების შემგრძნები და ერის ღირსების დამცველია.

მონარქი, რომლის ერთი სიტყვაც საკმარისი იყო მონასავით მოეგვარათ მისთვის ტყვედ პყრობილი შორენა, უსაზღვროდ იტანჯება ამ ქალისადმი ცალმხრივი სიყვარულის გამო.

თავშეკავება მაშინ კი არ გამოხატავს ადამიანის ღირსებას, როცა იგი ამა თუ იმ საცთურის გამო გრძნობებს მოთოკავს, არამედ მაშინ, როცა დაუსჯელად შეუძლია სურვილთა აღსრულება და ამას არ ჩადის.

სვეტიცხოვლის დიდებული ტაძრის მშენებლობაც, შინაშლილობითა და გარეშე მტრების მუქარით შეჭირვებულ ქვეყანაში, გიორგის ეროვნული ღირსების ხაზგასასმელად სჭირდებოდა.

ბიზანტიელებს, როგორც ითქვა, მედიდურობის ერთ არგუმენტად თავიანთი კულტურაც ჰქონდათ, რის წინაშეც ქედმოხრილი იყო მელქისედეკ კათალიკოსი და არაერთი ქართველი.

სვეტიცხოველი ეროვნული ღირსების გამოხატულება უნდა ყოფილიყო, ანუ დასტური იმისა, რომ საქართველო არც კულტურული მეტოქობის ასპარეზზე დაუდევდა ტოლს იმპერიას.

ახლა ისიც გაიხსენეთ, როგორ აცოფებდა გიორგის ქართველობის მიერ ბიზანტიელებისაგან მოძღვნილი ჯინჯილებისა და ხარისხების ტარება, ვითარცა ეროვნული ღირსების შელახვის ფაქტი.

კეისრისაგან ნაბოძები მწვანე ეტლი პირადად მას უქმად ეგდო სასახლის ეზოში და მხოლოდ ერთხელ ძალლების გასაადგილებლად გამოიყენა იგი.

გიორგიმ ბერძნულიც იცოდა, არაბულიც, მაგრამ სასახლეში მხოლოდ ქართულად ესაუბრებოდა უცხოელებს. ეს ეტიკეტიც პურიზმის კი არა, სახელმწიფოებრივი აზროვნების აწ სანატრელი გამოხატულება იყო.



კ. გამსახურდია და მ. ზლატკინი

გაგრძელება იქნება

# ლორე-ტაშირი საქართველოს კიდევ ერთი მოუშუშებელი ჭრილობაა!

## წერილი მეორე

XIX საუკუნეში თურქეთის მიერ დაპყრობილი ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში ახალი ეტაპი დაიწყო. ამ მხრივ პირველ დიდ წარმატებას ბერძნებმა მიაღწიეს. უძველესი, მაღალგანვითარებული კულტურის ქვეყანას, საბერძნეთს მსოფლიოს პროგრესული საზოგადოებრიობაც გამოექომაგა. თურქთა ბატონობის უღლისაგან საბერძნეთის განთავისუფლებამ სხვა ქრისტეანი ხალხებიც შეაგულიანა, გაეძლიერებინათ ბრძოლა, რათა თავი ეხსნათ ოსმალეთის კლანჭებისაგან. ამ ხალხთა რიცხვში იყვნენ სომხებიც. ისინი დიდი რაოდენობით ცხოვრობდნენ თურქეთში და ქრისტეანობაც შენარჩუნებული ჰქონდათ. არც თურქები და არც სპარსელები სომხებს XIX საუკუნემდე გამაჰმადიანებას არ აძალებდნენ. საქმე ისაა, რომ სომხთა მნიშვნელოვანი ნაწილი თურქეთსა და სპარსეთში ვაჭრობა-ხელოსნობას მისდევდა, მათი გამაჰმადიანება კი აუცილებლად არ ითვლებოდა. გარდა ამისა, რადგან სომხებს არ ჰქონდათ სახელმწიფო, ისინი თურქეთსა და სპარსეთში კარგა ხანს აპოლიტიკურ ხალხად მიაჩნდათ. ამასთანავე, თურქეთიც და სპარსებიც თავიანთი მიზნებისთვის ცდილობდნენ სომხური ეკლესიის გამოყენებას და ეს გარემოებაც ხელს უწყობდა სომხთა მიერ ქრისტეანობის შენარჩუნებას. ცხადია, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ სახელმწიფოს არსებობის პირობებში სომხურმა ეკლესიამ უდიდესი როლი შეასრულა სომეხი ხალხის გადარჩენის საქმეში და სომეხთა მასობრივად გამაჰმადიანება დამპყრობელისთვის ძალზე ძნელი იყო. მიუხედავად ამისა, XIX ს-ში, როცა თურქეთში გაძლიერდა სომხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, თურქებმა ძალდატანებით უამრავი სომეხი გაამაჰმადიანეს.

დიდი სახელმწიფოების ხელისუფალთ, პოლიტიკურ წრეებს XIX ს-ში მიაჩნდათ, რომ თურქეთის დაშლა გარდუვალი იყო და თითოეული მათგანი ცდილობდა სხვაზე მეტი გავლენა მოეპოვებინა თურქეთში თუ მის ნანგრევებზე. ასეთ ვითარებაში მოექცა ყურადღების ცენტრში თურქეთის სომხეთიც, არზრუმის, ბითლისის, ვანის და სხვა ვილაიეთები. თავიდან ამ მხრივ უფრო მეტად რუსეთის იმპერია აქტიურობდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც რუსეთმა დათმო პოზიციები ინგლის-საფრანგეთთან ჭიდილში, ბერლინის კონგრესზე (1877 წ.) თურქეთის სომხეთის საკითხიც ევროპის ყველა დიდი სახელმწიფოს ზრუნვის საგნად იქცა. 1913–14 წლებში საქმე იქამდეც მივიდა, რომ დიდმა სახელმწიფოებმა მიიღეს გადაწყვეტილება, თურქეთის სომხეთის მმართველებად ევროპელები დაენიშნათ. მაგრამ თურქეთის ხელისუფლება, რომელიც დაუშვებლად თვლიდა თავისი ქვეყნის საქმეებში გარეშე ძალების ჩარევას, კერძოდ, სომხებისადმი დიდი სახელმწიფოების გამოქომაგებას, ყოველნაირად ცდილობდა გამოეყენებინა დიდ სახელმწიფოებს შორის არსებული წინააღმდეგობები. მართლაც, თურქეთის მმართველმა წრეებმა მოახერხეს თავიანთთვის ხელსაყრელი მომენტების შერჩევა და ე.წ. სომხური საკითხის გადაჭრა სომეხთა საშინელი გენოციდის მეშვეობით სცადეს.

XIX ს-ის 90-იან წლებში, განსაკუთრებით კი I მსოფლიო ომის ჟამს, კერძოდ, 1915 წელს თურქეთში დაახლოებით მილიონნახევარი სომეხი დაიღუპა, სხვები ლტოლვილებად იქცნენ. მსოფლიოში ამ მოვლენას დიდი გამოხმაურება მოჰყვა. იმის გამო, რომ სომხები მრავალ ქვეყანაში ცხოვრობდნენ და მსოფლიო ვაჭრობაში ფართოდ იყვნენ ჩაბმული, მათ მანამდეც კარგად იცნობდნენ, სომხეთისა და სომხების შესახებ საკმაოდ ბევრი იწერებოდა. სომხთა გენოციდის გამო კი მსოფლიოს მთელი პროგრესული კაცობრიობა ალაპარაკდა, ხოლო დიდი სახელმწიფოების მმართველმა წრეებმა კვლავ თავიანთი მიზნებისათვის სცადეს ამ მოვლენის გამოყენება.

I მსოფლიო ომს, როგორც ცნობილია, ადამიანთა უდიდესი მსხვერპლი მოჰყვა შედეგად, ომმა გამოიწვია უზარმაზარი ნგრევაც. ასეთ ვითარებაში ყურადღებას აპყრობენ იმ ფაქტს, რომ არც ერთ ხალხს, მათი რაოდენობისა და ტერიტორიის გათვალისწინებით, I მსოფლიო ომში ისე დიდი ადამიანთა და მატერიალური დანაკარგი არ განუცდიათ, როგორც თავს დაატყდა სომეხ ხალხს. ამაში ბრალი ედებოდა სომხეთის მფარველ დიდ სახელმწიფოებსაც. დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ლოიდ ჯორჯი წერდა: „სომხეთი ემსხვერპლა ჩვენი მხრიდან აღმართულ ძლევამოსილ საკურთხეველს". რაკი ომი ანტანტის სახელმწიფოების გამარჯვებით დამთავრდა, მოსალოდნელი იყო, რომ ახლა მაინც გაუწევდნენ ისინი სომხეთს მფარველობას. როგორც იმ დროს ამბობდნენ, ისინი ეცდებოდნენ ცრემლები მოეწმინდათ სომეხი ხალხისათვის. ზ.ავალიშვილის თანახმად, 1918 წ. 30 ოქტომბრის დაზავებით, რომელსაც ხელი მოაწერეს ინგლისისა და თურქეთის წარმომადგენლებმა, თურქეთს ანტანტის სახელმწიფოებისათვის უნდა დაებრუნებინა სამხედრო ტყვეები, მათ შორის ინტერნირებული და დატყვევებული სომხები (მუხლი IV). სომხეთს ანტანტის სახელმწიფოების „მცირე მოკავშირეს" უწოდებდნენ. უფრო მეტიც, I მსოფლიო ომში გამარჯვებულ მოკავშირე სახელმწიფოთა შორის ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის, იაპონიის, საბერძნეთის, ბელგიის, პოლონეთის და სხვათა გვერდით სომხეთსაც ასახელებდნენ. მაგრამ სომხეთისათვის დახმარება გამარჯვებულმა დიდმა სახელმწიფოებმა, კერძოდ ინგლისმა რეალურად მხოლოდ საქართველოს ხარჯზე შეძლეს. მათთვის ეს გაცილებით ადვილი აღმოჩნდა, ვიდრე სომეხთა ინტერესების დაცვა თურქეთში.

ზ.ავალიშვილი აღნიშნავს, რომ სომხეთის საზღვრების გამოსარკვევად პარიზის საზავო კონფერენციასთან შეადგინეს ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის და იაპონიის წარმომადგენლებისაგან განსაკუთრებული კომისია. 1920 წ. 25 თებერვალს საქართველოს დელეგაცია მიიწვიეს ამ კომისიაში, რათა განმარტებები წარედგინათ ლაზისტანის და ბათუმის ოლქის შესახებ. ინგლის-საფრანგეთის წარმომადგენლები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ იმ გარემოებას, რომ ქალაქ ბათუმის მოსახლეობა არეულია, რომ იქ ქართველობა უმრავლესობას არ შეადგენს. მათი ასეთი პოზიცია დაკავშირებული იყო ზრუნვასთან, მიეცათ სომხეთისთვის ზღვაზე გასასვლელი თავისუფალი გზა. უმაღლესმა საბჭომ გაიზიარა თავისი კომისიის აზრი. სხვათა შორის, მიიღეს ისეთი გადაწყვეტილებაც, რომ ლაზისტანი ცხადდებოდა ავტონომიურ ერთეულად, სომხეთის სუვერენიტეტის ქვეშ. საიდან სადაო? თუმცა, სადაც ბათუმი არ ემეტებოდათ საქართველოსთვის და ცდილობდნენ, იქ სომხეთისთვის განსაკუთრებული მდგომარეობა შეექმნათ, ლაზისტანის სომხეთისათვის გადაცემას რატომ ითაკილებდნენ? ამ შემთხვევაში ინგლის-საფრანგეთის წარმომადგენლები, როგორც ჩანს, იზიარებდნენ ევროპულ პრესაში გამოქვეყნებულ იმ სომხურ თვალსაზრისს, რომლის თანახმადაც უნდა შექმნილიყო „დიდი სომხეთის" სახელმწიფო და მის დედაქალაქად თბილისი უნდა გამოცხადებულიყო. ასეთ ვითარებაში რაღა გასაკვირია, რომ ინგლისის ხელისუფლებამ საქართველოს კუთვნილი ლორე-ტაშირი სადავო ტერიტორიად გამოაცხადა. ინგლისის მთავრობას თუ მართლა მხოლოდ საქართველოსა და სომხეთის ჯარების ერთმანეთისაგან დაშორიშორება უნდოდა და მეტი არაფერი, რატომ მარტო საქართველოს ნაწილი, ლორე-ტაშირი გამოაცხადა ნეიტრალურ ზონად და სომხურ მიწა-წყალზეც არ შექმნა ამგვარი ზონა? ლორე-ტაშირის გამოცხადება სადაო ტერიტორიად, ნეიტრალურ ზონად თეორიულად იმთავითვე გულისხმობდა, რომ ეს ქართული მიწა-წყალი საბოლოოდ შეიძლებოდა მიკუთვნებოდა ან საქართველოს, ან სომხეთს, მაგრამ თუ იმდროინდელი ინგლისის ხელისუფლების პოზიციას გავითვალისწინებთ საქართველო-სომხეთის ურთიერთობის საკითხში, შეიძლება ითქვას, რომ ინგლისის მთავრობა ლორე-ტაშირში სომხეთის ინტერესებს უპირატესობას ანიჭებდა საკითხისადმი ტენდენციური მიდგომის გამო.

1918–1919 წლებში სომხეთში მძვინვარებდა გადამდები სნეულებები, შავი ჭირი და სხვა, რამაც დიდძალი ხალხი იმსხვერპლა. სომხეთი აივსო უპატრონო მიცვალებულებით. ოფიციალური მონაცემებით, 1919 წ. მარტო ერევნის ქუჩებიდან აიღეს ცხრა ათასზე მეტი გვამი. ასეთივე მდგომარეობა იყო სომხეთში 1918 წ. დასასრულსაც. სწორედ ამგვარ უმძიმეს ვითარებაში სომხეთის დაშნაკურმა ხელისუფლებამ ჯარები შემოუსია საქართველოს. რისი იმედით? ვ. ნოზაძის სიტყვით, „სომხურმა მმართველმა წრეებმა ომი გაბედეს მხოლოდ იმ იმედით, რომ კავკასიაში მომავალი ინგლისი მათ მხარს დაუჭერდა და თუ სომხეთი ინგლისელებს ფაქტის წინაშე დააყენებდა, მას ხელში შერჩებოდა ყველა მის მიერ დაკავებული ტერიტორია". ამიტომაც დაესხნენ სომხეთის ჯარები საქართველოს თავს ომის გამოუცხადებლად. ამ ომში სომხეთს ეხმარებოდა ინგლისისადმი დაქვემდებარებული დენიკინიც. მარქსისტული იდეებით გაბრუებულმა საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ სწორად ვერ შეაფასა შექმნილი პოლიტიკური ვითარება. მან მშვენივრად იცოდა, რომ სომხეთის ჯარს საქართველოს წინააღმდეგ საომრად ამზადებდნენ. ჯერ კიდევ 1918 წ. ოქტომბერში მოხდა შეტაკებები სომხურ და ქართულ სამხედრო ნაწილებს შორის. ასეთ პირობებში ჩვენს ხელისუფლებას სიფხიზლე უნდა გამოეჩინა და სომხეთისათვის არ უნდა მიეცათ შესაძლებლობა საზღვრის გადმოლახვისა: იმჟამად ქართულ ჯარს ამის უნარი ჰქონდა. მიუხედავად სომხებისადმი დენიკინის დახმარებისა, სომხურ ჯარზე უფრო ძლიერი და ბრძოლისუნარიანი ქართული ჯარი იყო, თუკი მას ნორმალური პატრონი გაუჩნდებოდა. მართლაც, სულ მალე ქართული ჯარი შეტევაზე გადავიდა, სომხეთის ჯარს უკან დაახევინა და ლორე-ტაშირის საქართველოსთვის დაბრუნებასაც წინ აღარაფერი დაუდგებოდა, ინგლისელების მოთხოვნით საომარი მოქმედება რომ არ შეწყვეტილიყო. საქართველოს მენშევიკური, მარქსისტური მთავრობა ვალდებული იყო, დროულად გაეთვალისწინებინა გარეშე, მესამე ძალის, ამ შემთხვევაში ძირითადად ინგლისის ფაქტორი და ამის საფუძველზე აეგო საქართველო-სომხეთის ურთიერთობა 1918 წ. მეორე ნახევარში.

საბჭოთა რუსეთმა აზერბაიჯანი და სომხეთი საქართველოზე უფრო ადრე, 1920 წ. დაიპყრო. საქართველოს დასაპყრობად, რუსეთი გასაბჭოებულ აზერბაიჯანსა და სომხეთსაც იყენებდა ბაზად. შესაძლოა, ესეც იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ბოლშევიკურმა რუსეთმა ქართველთა სისხლით მორწყული საინგილო და ლორე-ტაშირი აზერბაიჯანს და სომხეთს უბოძა 1921 წელს. მაგრამ მთავარი მიზეზი ძველი ქართული მიწა-წყლის საქართველოსაგან მოგლეჯისა და მეზობლისთვის გადაცემისა მაინც სხვა უნდა იყოს. საქმე ისაა, რომ რუსეთის ბოლშევიკებს იმედი ჰქონდათ, რევოლუცია მთელ მსოფლიოს, კერძოდ, ისლამურ სამყაროს მოედებოდა. რუსეთის მთავრობის ანგარიშით, თურქეთის და სპარსეთის გაწითლება, გასაბჭოება სულ მალე უნდა მომხდარიყო. ამ საქმეში ისინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ საბჭოთა აზერბაიჯანს. ამიტომაც გადასცეს მას საინგილო, ყარაბაღი და ნახიჭევანი. საბჭოთა რუსეთმა 1920–21 წლებში თურქეთთან დაახლოებაც მოახერხა. ისინი ერთად აპირებდნენ იმპერიალისტების, ანტანტის სახელმწიფოების წინააღმდეგ ბრძოლას. ვითომ თვითონ ვინმეს ჩამორჩებოდნენ იმპერიალისტობაში?! ასეა თუ ისე, თურქეთი აზერბაიჯანის მფარველად ითვლებოდა და აზერბაიჯანისთვის საინგილოს, ყარაბაღის და ნახიჭევანის გადაცემა თურქეთის ინტერესების, პოზიციის შესაბამისადაც მოხდა. ამასთანავე, საბჭოთა რუსეთმა თურქეთს დაუთმო ყარსის ოლქი და სხვა სომხური მიწა-წყალიც. ამდენად, საბჭოთა რუსეთმა მეტად მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა საბჭოთა სომხეთი. ნაწილობრივ მაინც რომ აენაზღაურებინათ სომხეთისათვის დანაკარგი, მას ქართული მიწა-წყალი, ლორე-ტაშირი უბოძეს. ამ მხრივ ბოლშევიკურ რუსეთს ჰყავდა წინამორბედიც ინგლისის ხელისუფლების სახით.

სომხეთის ბოლშევიკური მთავრობა ჯავახეთის მიერთებასაც ითხოვდა საბჭოთა სომხეთისათვის. ქართული მიწების მიმართ მათ დაშნაკებზე ნაკლები მადა არ გამოუჩენიათ. მაგრამ რუსეთის მთავრობა ამაზე არ დათანხმდა. ისმის კითხვა: ავტონომია მაინც რატომ არ მიანიჭეს ჯავახეთს ან ქვემო ქართლის თათრებს? განა საქართველოში ცოტა ავტონომიური ერთეული შექმნეს? არ მიანიჭეს იმიტომ, რომ რუსეთის ფანატიკოსმა თუ ყაჩაღმა ბოლშევიკებმაც კარგად იცოდნენ, სომხეთის ძირძველი ქართული მიწა-წყალი, ლორე-ტაშირი, ხოლო აზერბაიჯანს ასევე ქართული საინგილო რომ უწყალობეს. ბოლოს და ბოლოს, მშობლიურ კომუნისტურ პარტიას საქართველოს მიმართაც ხომ უნდა გამოეჩინა ცოტა მზრუნველობა.

XVII ს-ის დასაწყისში ლორე-ტაშირი შაჰ აბასმა ჩამოაშორა საქართველოს, კერძოდ, ქართლის სამეფოს და იქ ლორეს სახანო შექმნა. მაგრამ სულ მალე ლორეს ხანები ქართველი მეფეების გავლენის ქვეშ მოექცნენ, ხოლო გარკვეული ხნის შემდეგ ლორე-ტაშირი ისევ საქართველოს უშუალო შემადგენელი ნაწილი გახდა. ინგლისისა და რუსეთის მთავრობების გადაწყვეტილებები ლორე-ტაშირის საკითხის თაობაზე საქართველოსთვის უფრო სავალალო შედეგების მომტანი გამოდგა, ვიდრე შაჰ აბასის ღონისძიება. ლორეს სახანო არ იყო მტკიცე პოლიტიკური წარმონაქმნი და საქართველომ შეძლო ამ მიწა-წყლის დაბრუნება. მომავალში კი ოდესმე მოხერხდება, ლორე-ტაშირი კვლავ დაუბრუნდეს ქართულ სამყაროს? დღეს ხომ სომხთა გარკვეულ წრეებში სამცხე-ჯავახეთის სომხეთისათვის იარაღის ძალით მიერთებაზეც ლაპარაკობენ. ჭეშმარიტად, დროა ქართველი ერის გამოფხიზლებისა, კიდევ ერთხელ მკვდრეთით აღდგომისა!!!

**ალექსანდრე აბდალაძე**

# იუმორის გვერდი — წუთშესვენება

## იუმორისტული ნოველები
## მერაბ ბერაძე

არც რა მიშველა ტირილმა,
არცა ცრემლის დენამა,
მიშველა ისევ სიცილმა,
ლაქარდიანმა ენამა



როგორც იცით, ტელეჟურნალისტმა მერაბ ბერაძემ გამოსცა წიგნი: „ანეგდოტები და კურიოზები ტელევიზიაში", რომლის რამდენიმე ნაწყვეტი ჩვენს გაზეთშიც დაიბეჭდა. ამჯერად გთავაზობთ მის გამოუქვეყნებელ იუმორისტულ ნოველებს.

### სამი გურული ერთ რედაქციაში

ერთ დღეს ავედი „ნიანგის" რედაქციაში. დუმბაძე უკვე ზენიტში იყო და მომსვლელებთან ერთად, ბევრ ბარათებს იღებდა... არც იყო გასაკვირი, რადგან „მე, ბებია, ილიკო და ილარიონის", „მე ვხედავ მზეს", „თეთრი ბაირაღების" შემდეგ იგი ერთბაშად გახდა ხალხის საყვარელი მწერალი. გახსოვთ, ალბათ, „თეთრ ბაირაღებში" ერთ-ერთი მთავარი როლი ქურდ ლიმონას აქვს. სწორედ ამ პერსონაჟთან დაკავშირებით მიიღო მწერალმა გურიიდან ერთი საყურადღებო ბარათი. მე რომ მის კაბინეტში შევიხედე, იქ ბატონი ზაურ ბოლქვაძე იჯდა და გულიანად იცინოდა...

– მოდი, მოდი – ხელი დამიქნია ნოდარმა... – სამი გურული ერთ ოთახში ცოტა „პასნია", მაგრამ არა უშავს (თვით დუმბაძე გურული, ზაური გაქანებული და არც მე ვარ მექსიკელი). შევედი.

– ნახე, ძმა, რას მწერს ეს კაცი...

წერილი ავიღე და გადავშალე. დასაწყისი ჩვეულებრივი, დიდი სიყვარულის ახსნა ადრესატის მიმართ, მერე კი: „რას დამაქციე. წესიერი და დალაგებული შვილი მყავდა, აკურატულად მუშაობდა ფაბრიკაში, საცოლეც ჰყავდა შერჩეული, ერთ დღეს კი შენმა „თეთრმა ბაირაღებმა" მოწამლა ბალანა. იმის შემდეგ, სულ ლიმონას ბაძავს ყველაფერში და იძახის „რამკიანი" უნდა გავხდეო... ჰოდა იმიტომაა, ყოველდღე ხან მილიციაში, ხან სასამართლოში, ხან პროკურატურაში".

– დაგიღუპიათ კაცი და ეგ არის! – გავიცინე მე...

– არა, შენ პასუხი წაიკითხე! – მითხრა ზაურ ბოლქვაძემ და ფურცელი მიმაწოდა. მთელი წერილის შინაარსს ვერ გადმოგცემთ, მხოლოდ ერთ ფრაზას გავიხსენებ: – „გადარჩენილი ხარ, შე კაცო და კიდევ აქეთ ხარ უკმაყოფილო?. შენი ბედი, რომ ყაზბეგის „მამის მკვლელი" არა აქვს წაკითხული.

სიყვარულით ნოდარ დუმბაძე"

### ნოდარ დუმბაძის „რჩევა"...

ბატონი ნოდარი მოსკოვში იყო მწერალთა კავშირის ყრილობაზე; ერთ დღეს სასტუმროში დაბრუნებულს ლიფტი გამოუძახია და ის იყო მეთხუთმეტე სართულის ღილაკისათვის უნდა დაეჭირა ხელი, რომ სასტუმრო „მოსკოვის" ვესტიბიულში დედა-შვილი შემოვიდა. ლიფტის კარი ღია დაინახეს და სასწრაფოდ შემოვარდნენ შიგ.

– ბატონო ნოდარ, რა ბედნიერებაა თბილისში ვერ მოვახერხეთ თქვენი გაცნობა, აქ კი როგორ გაგვიმართლა – ვერ დამალა თავისი სიხარული მანდილოსანმა. ნოდარმაც სიამოვნებით ჩამოართვა ხელი, რომელ სართულზე მიბრძანდებითო, ჰკითხა და ლიფტის ღილაკს დააჭირა ხელი, მერე კი ულამაზეს გოგონას შეხედა, რომელიც ასე 18 წლისა თუ იქნებოდა.

– ეს ჩემი ქალიშვილია, თეონა! – წარუდგინა მანდილოსანმა.

– ბედნიერი ხართ, ასეთი ანგელოზის პატრონი! – თავზე ხელი გადაუსვა მწერალმა ქალიშვილს...

უცებ, გოგონა საკმაოდ უცნაურად შეკუნტრუშდა, სახეზე წამიერად დაეჭიმა ძარღვები და... უმალვე დაწყნარდა. ნოდარმა მზერა ლიფტის ჭერზე გადაიტანა, მაგრამ ქალიშვილი ისევ შეკუნტრუშდა. ასე განმეორდა რამოდენიმეჯერ.

– ცუდ დღეში ვართ, ბატონო ნოდარ! – თითქმის ცრემლები წამოსცვივდა ქალბატონს და შვილი მკერდში ჩაიკრა!

– რა იყო?

– გაურკვეველი ავადმყოფობა სჭირს ჩემს გოგონას; აი, ასე, მოულოდნელად შეკრთება ხოლმე და თითქოს დენს არტყამსო, ისე ემანჭება სახე... და მთელი ტანი...

– მართლა უცნაურია, ასეთი არაფერი გამიგია – შეწუხდა მწერალი.

– თბილისში ვერაფრით ვერ დავადგინეთ დიაგნოზი, აი ახლა მოსკოვში ჩამოვიყვანე. მირჩიეს აქაურ პროფესორს აჩვენეთო...

– რამდენი წლის არის თქვენი ქალიშვილი?

– 19-ის გახდება ორ კვირაში...

– ქალბატონო, მერე მაგას მოსკოველი პროფესორი კი არა, ქართველი „მონტიორი" სჭირდება – თბილად გაიღიმა ნოდარმა...

### რკინა, აგური, ქვა თუა

კარლო კალაძეს მწერალთა კავშირმა, თუ არ ვცდები გულრიფშში, ზღვისპირა ზოლში, სააგარაკე ადგილი გამოუყო და ბუნებრივია, პოეტმა სახლის აშენება გადაწყვიტა. ახლა რომ არის პრობლემა საშენი მასალის ყიდვისა, ისე არა, მაგრამ ეს პროცესი მაინც საკმაო ხარჯებთან იყო დაკავშირებული. ამიტომ ბუნებრივია, ბატონმა კარლომ შეღავათიანი გზების ძებნა დაიწყო... სწორედ ამ გზებმა მიიყვანა იგი აფხაზეთის ხელისუფლებაში.. აქ თქვენის ნებართვით, მცირე განმარტების უფლებას მივცემ თავს. აფხაზეთში, ზოგიერთების დიდი მცდელობით, ქართველების მიმართ გაუცხოებისა და ზიზღის თესლი კარგა ხანია ჩაისახა და როცა ჩვენ აფხაზებს ძმებს ვეძახდით, ყველაზე, რა თქმა უნდა, ვერ ვიტყვით, მაგრამ მავანი მაშინ იარაღს აგროვებდა. ეს ისე, ინფორმაციისათვის. ჰო, ბატონი კარლო ერთ-ერთ ხელმძღვანელს შეხვდა, რომელმაც მისი პრობლემა რომ გაიგო, ერთ-ერთი სამშენებლო ტრესტის უფროსი, ვინმე გვათუა გამოიძახა, რომელიც, როგორც გაირკვა, სულით და გულით ჭეშმარიტი მამულიშვილი იყო და რაც მთავარია, დიდ პატივს სცემდა ქართველ მწერლებსა და პოეტებს... ბატონმა კარლომ თავისი ჩანაფიქრი გაანდო მას. შეწუხდა თურმე მშენებელი გვათუა, ცდილობდა დაპირებით მის მაგივრად შეპირდებოდნენ აფხაზი ხელმძღვანელები სახლის აგებას, მაგრამ მერე ყველანაირად შეუშლიდნენ ხელს საქმეში... ამ დროს, ბედად თურმე ტელეფონმა დარეკა. აფხაზმა ხელმძღვანელმა ყურმილი აიღო და სმენად იქცა. როგორც გაირკვა, ხაზზე მოსკოვი იყო. სმენადობა მოიკოჭლებდა, უფროსს თითქმის ყვირილით უწევდა საუბარი. გვათუამ მომენტით ისარგებლა და ბატონ კარლოს ჩასჩურჩულა:

– მე ამათ გასაგებად საქმეს გაგირთულებთ, შემდეგ კი ყველაფერს ისე მოვაგვარებ, რომ ესენი ვერაფერს გაიგებენ! – ამასობაში მოსკოვის ხაზი გაწყდა და მასპინძელი გვათუას მიუბრუნდა:

– ძალიან გვიჭირს, მაგრამ ბატონ კარლოს უარს ვერაფრით ვერ ვეტყვით... რამე უნდა გავახერხოთ...

– თქვენ ხომ იცით, რა პრობლემაა დღეს აგური, ცემენტი, არმატურა, ქვა და ათასი სხვა! – დაიწყო გვათუამ შეწუხებული სახით. იქნებ სჯობდეს ორი-სამი წლის შემდეგ დავიწყოთ მშენებლობა...

– ძალიან მწყინს, მაგრამ რა ვქნა? – „შეწუხდა" აფხაზი ხელმძღვანელი... ბატონო კარლო, ეგებ თქვენ თვითონ იშოვნოთ: რკინა, აგური, ცემენტი, და... მაშინ... კარლო კალაძე სკამიდან წამოდგა და იქვე აჯახა:

საამშენებლო მასალა,
რკინა, აგური, ქვა თუა...
სახლს თვითონ ავაშენებდი
რა ჩემ ....ედ მინდა გვათუა!

* * *

შესანიშნავ ქართველ პროზაიკოსს და დიდებულ მოქალაქს, ბატონ ლევან გოთუას მეტად მძიმე ხვედრი არგუნა განგებამ. რომ იტყვიან, მის თავზე წისქვილის ქვა არ დატრიალებულა, თორემ დანარჩენი არც არაფერი დაუკლია ცხოვრებას. საქმე იქამდეც მივიდა, რომ თავისი ქართული სულის და სამშობლოსთან დამოკიდებულების გამო, მორიგი გადასახლებიდან დაბრუნებულ მწერალს საცხოვრებლად ყოვლად უვარგისი ოთახი გამოუყვეს, რომელსაც, ცხადია, არც სამზარეულო ჰქონდა და არც ტუალეტი. ზუსტად იმ პერიოდში კი სახელგანთქმულ „ცისკრის ვარსკვლავის" ავტორმა, კონსტანტინე ლორთქიფანიძემ მეტად კეთილმოწყობილი ბინა მიიღო, რომელსაც სხვა ბევრ სიკეთესთან ერთად ორი ტუალეტი ჰქონდა. ბატონ ლევანს, როგორც სჩვეოდა, ისე მორიდებით უთხოვია მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობისათვის: უკვე ხანშიშესული კაცი ვარ, ბინას არ ვჩივი, მაგრამ ისეთი მაინც გამომიყავით, საკუთარი ტუალეტი რომ ჰქონდესო... სიტყვა დამთავრებულიც არ ჰქონდა, რომ ვიღაცამ ფუნაგორია მოაყოლა:

ამხანაგო, გოთუა, ბინა
ურიგოთუა.
თუ არა აქვს ტუალეტი თუ არა
აქვს ლოჯია, კონსტანტინეს ორი აქვს
მიბრძანდით და ...



### სტალინი „მორფინისტი"



შურიად სამწუხაროდ, ქართული კინოს კორიფეს, უნიჭიერეს მიხეილ ჭიაურელს, მაშინ შევხვდი, როცა იგი უკვე პენსიაზე იყო და კინოსტუდიაში, სადაც იმ ხანად ვმუშაობდი, ისე, თავშესაქცევად გამოივლიდა ხოლმე. ქართული კინოს დიდოსტატს, თხრობის ჯადოქარს, რა თქმა უნდა, გარს მუდამ ესია მისი თაყვანისმცემლები... სახელგანთქმულ შემოქმედს, ცხადია, ბევრი რამ ჰქონდა მოსაგონარი და ოსტატურადაც იცოდა მოყოლა. განსაკუთრებით ხალხს სტალინთან დაკავშირებული ამბები აინტერესებდა. სტუდიაში იმხანად ოპერატორის ასისტენტად თუ გამნათებლად ვინმე არტემა მუშაობდა, რომელიც ჩვენი ცნობილი მსახიობის დოდო აბაშიძის მეგობრობას იჩემებდა. ერთ მშვენიერ დღეს, როცა ბატონმა მიშამ სტალინის ამბები გაიხსენა, არტემამ დოდო გვერდზე გაიხმო:

– დოდოჯან, მიშა ეტყობა უკვე ძალიან მწიფდება!

– როგორ თუ მწიფდება? – გაუკვირდა აბაშიძეს...

– თავის მოტორზე ვერ არის რა... ისეთ რაღაცეებს ჰყვება სტალინზე, ვინმეს ის კაცი მართლა გენიოსი ეგონება...

დოდო აბაშიძეს სტალინი რატომ ეყვარებოდა, ჩემი არ იყოს, ოცდაჩვიდმეტში გაუბედურებული მშობლების შვილი იყო, მაგრამ არტემასაგან სტალინის შეურაცხყოფა მაინც არ ესიამოვნა.

– რა იყო?

– ე, კარგი რა, ზოგჯერ ძალიან აქაფებთ ხოლმე ქართველები... აბა, გენიოსი შეიძლება იყოს კაცი, რომელსაც ნარკოტიკები უყვარდა? – ყურში ჩაუჩურჩულა არტემამ...

– ბიჭო, შენ ხომ არ გინდა ყბები ჩამოგილო, რას მიედ-მოედები? – გაბრაზდა დოდო და კუნთები დაეჭიმა. დოდო ვისაც ახსოვს, ისიც ეცოდინება, რომ მასთან ჩხუბი, მოწინააღმდეგისათვის სასწრაფოში გაქანებით მთავრდებოდა...

– ე, დოდოჯან, მუსკულებზე ყურება რად გინდა, მე რასაც გეუბნები, სულ დოკუმენტებია...

– რა დოკუმენტები? – კიდევ უფრო წამოჭარხლდა სახეზე მსახიობი...

– მე ჩემი თვალით ვნახე კინოფილმი „პადენიე ბერლინა", აი, იქ სტალინი რომ დგას რუქასთან, გახსოვს?

– მახსოვს, მერე?

– რა მერე? დგას რუქასთან და ჟუკოვს ეუბნება: გიორგი კონსტანტინოვიჩ, მე ეს პლანი არ მომწონს. ჰა, ესეც მე ვარ? ზნაჩიტ, პლანს ეწეოდა...

### 6 ხოლის ქორწილი

ვახტანგ ცხადაძეს, ამჟამად სასტუმრო „ივერიის" დირექტორს, ბავშვობის მეგობარი ჰყავდა, პროფესიით რეჟისორი ლადო ნიკოლაიშვილი. დაურეკა ერთ დღეს ლადომ ვახტანგს:

– ჩემო ვახო, ცოლს ვირთავ და მეჯვარე უნდა იყო!

– ჩემი თავი გენაცვალოს, – გაუხარდა ცხადაძეს და დიდებულად შეასრულა მისია.

გავიდა ცოტა ხანი და ნიკოლაიშვილი ქუჩაში შეხვდა თავის მეჯვარეს.

– არ გამიმართლა ბიჭო, არ არის ელისო ის ქალი, მე რომ გამომადგება ცხოვრებაში. მოემზადე, მეორე ქორწილი მაქვს.. თამადა უნდა იყო...

ცხადაძემ თამადობის კლასი აჩვენა იმ დღეს. გაიარა რამდენიმე თვემ და...

– არ მკითხო ახლა არაფერი. თალიკოსთან ვერ ვიცხოვრებ... კვირას პატარა ქორწილი მაქვს... ცაცინოს იცნობ შენ.. ჩვენს მომდევნო კლასში სწავლობდა...

ვასომ ამჯერადაც კარგად მოილხინა. ერთ თვეში კი ისევ ლადომ დარეკა:

– თუ ძმა ხარ, არ მჭირდება შენი შეფასება... და არ დამიწყო გამოკითხვა... რა ჩემი ტოლი იყო ცაცინო... მარინე გახსოვს, ჩემი მეზობელი? ჰოდა...

ცხადაძე ამჯერადაც თამადად დააყენეს...

კიდევ ერთი წელი და ვახო ქუჩაში შეხვდა ლადოს და მეტად მომხიბვლელ ქალბატონს, რომლებიც ხელგადახვეულნი მოსეირნობდნენ რუსთაველზე...

– ახლა არ თქვა, ცოლად ვირთავო! – ეჭვის ჭიამ გაჰკრა ცხადაძეს.

– ნაღდი ვანგა ხარ! – გაეცინა ლადოს... – ბიჭო, პირველი ოთხი ყოფილა ძნელი, მერე წყალივით მიდის ყველაფერი.

კიდევ რამდენიმე თვე და... მე რომ არც გითხრათ, თვითონ მიხვდებით ალბათ,... ტელეფონის ზარი და...

– ლადო, ვაჟკაცურად მითხარი, რიგით რომელი ქორწილი გექნება?

– მეექვსე!

– ჰოდა, ჩემო ძმაო, რას გირჩევ იცი? ერთი ჩემზე გააფორმე, თორემ დაგიჭერენ...



# სარეველა

მეორე გვერდიდან

სახურდია, თემურ მეტრეველი და ანატოლ მიქაძე. როგორც ჩანს, სკოლების პედაგოგიურ კოლექტივებს არ აწუხებთ თვითეული მოსწავლის ბედი და თავიანთ აღმზრდელობითს მოვალეობას მხოლოდ გაკვეთილების გადაცემა–გამოკითხვით ამოსწურავენ.

იქნებ კავშირგარე ახალგაზრდები არიან ესენი და სასკოლო კომკავშირული ორგანიზაციები ჯერ „ვერ მისწვდნენ" მათ? – თქვენ წარმოიდგინეთ, კომკავშირის ბილეთს ატარებენ დასარტყმელად გამზადებული დანების გვერდით მიქაძე, სიხარულიძე, გუნჯუა, ცერცვაძე და კოსტავა.

ამ ხულიგნების თავაშვებულობის გამო ამას წინათ ქალაქის ერთ–ერთ ბაღში სისხლიც კი დაიღვარა. ჩვეულებრივ აყალმაყალს დანის ტრიალი მოჰყვა. დაიჭრა ხულიგნების ჯგუფის ერთი წევრი გურამ დოჩანაშვილი, 47–ე სკოლის მეათეკლასელი მოსწავლე. ხულიგნების ჯგუფმა გადაწყვიტა „შური იძიოს ამხანაგისათვის". ზ.გამსახურდიას წინადადებით ისინი იარაღდებიან – ზოგი რეზინის ჯოხით, ზოგიც დანით. ზვიად გამსახურდიამ სპეციალური დიდი საკეცი დანაც კი მოიმარაგა. „წამოიღეთ რამე, თუნდაც რკინის კეტები, რომ თავში ჩავცხოთო!"

9 დეკემბერს, მართლაც, ჰიგიენის სახლთან ისინი თავს ესხმიან, მაგრამ... სრულიად უდანაშაულო მოქალაქეს, მუშას – პ–ს და ჭრილობას აყენებენ მას. ჯერ გამსახურდიამ დაარტყა, შემდეგ ყველა დანარჩენი მიესია დაზარალებულს. ამ საქმეში ყველაზე მეტად „გამოიჩინა" თავი მიქაძემ; ხულიგნობაში არაერთხელ შემჩნეულმა.

რატომ არ იმაღლებენ ამ ავადმყოფური მოვლენების წინააღმდეგ ხმას კომკავშირული ორგანიზაციები? განა მათი მოვალეობა არ არის ყურადღება მიაქციონ არამარტო ყოველი კომკავშირელის, არამედ ყოველი ახალგაზრდის მოქმედებას, ქცევას სკოლასა და საზოგადოებაში?! განა კომკავშირული ორგანიზაციის ამოცანა არ არის იბრძოლოს იმ ახალგაზრდა ადამიანის გამოსწორებისათვის, რომელიც ცუდი გავლენის ქვეშ მოჰყვა?!

რატომ არ გრძნობს დღემდე ყველა მშობელი პასუხისმგებლობას თავისი შვილების ყოფაქცევისათვის საზოგადოებაში. შინ და გარეთ? ნუთუ აღზრდა მარტო იმით უნდა გამოიხატებოდეს, რომ კარგად, უკანასკნელ მოდაზე ჩააცვა შვილს, ყოველდღე შეუვსო საფულე „სახარჯო ფულით", რომ მას ტაქსით სეირნობისა და არც ისე იშვიათად რესტორანში ქეიფის საშუალება მიეცეს? რატომ არ უნდა აწუხებდეს, აინტერესებდეს მშობელს – იცოდეს სად იყო მისი შვილი შუაღამემდე, რატომ ბრუნდება იგი ყოველთვის სახლში ასე გვიან?!

და ბოლოს, ისინი სრულ ფუფუნებაში ამყოფებენ შვილებს, არაფერს აკლებენ, ზოგად განათლებას აძლევენ, სახლში მუსიკასა და უცხო ენებსაც ასწავლიან, თუ საგნებში მოიკოჭლებენ, მასწავლებლებსაც კი უქირავებენ. უნდა მშობელს კულტურული შვილი ჰყავდეს. ამაში არაფერია ცუდი. მაგრამ ცუდია, როცა ისინი არ ზრუნავენ ისწავლონ მათმა შვილებმა მთავარი –შრომისადმი სიყვარული, უფროსისადმი პატივისცემა, სუსტისადმი გამოქომაგება და დახმარება, თავმდაბლობა, თავაზიანობა. მოკლედ, ისინი შვილებს არ ასწავლიან საზოგადოებრივი მორალის საფუძვლებს.

ახალგაზრდობის აღზრდა პირადი, ოჯახური საქმე როდია – იგი უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობისაა და თვითეული საბჭოთა მოქალაქე მოვალეა იყოს სკოლის, ოჯახის გულშემატკივარი, ეს კი ნიშნავს ახალგაზრდის ყოველ უღირს საქციელზე ხმა აღიმაღლო, საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევს გვერდი არ აუარო – თითქოს არც კი დაგინახავსო!

თავაშვებული ახალგაზრდები ხშირად „დემოკრატიზეც" გაჰყვირიან. მათი გაგებით აი რას ნიშნავს ეს: თუ მათ სცემეს სუსტსა და უდანაშაულოს, მილიციელს არ უნდა ჰქონდეს საქმეში ჩარევის უფლება, საზოგადოებას არ უნდა მიეცეს დაზარალებულისადმი გამოქომაგების საშუალება.

ხულიგნები გვევლინებიან როგორც სარეველა ბალახი მობიბინე ჯეჯილში. ისინი სახელს უტეხენ ჩვენს საუცხოო ახალგაზრდობას. გვევლინებიან მუწუკებად ჯანსაღ სხეულზე. მუწუკს კი მოჭრა უნდა, სარეველას – ამოძირკვა.

ჩვენი ამ წერილის ვაი–გმირები მალე წარსდგებიან ხალხის სამსჯავროს წინაშე და დამსახურებულ სასჯელს მიიღებენ ხულიგნობისა და სხვა ანტისაზოგადოებრივი მოქმედებისათვის.

ხულიგნების ფეხქვეშ მიწა უნდა იწვოდეს.

კ.ძიძავაძე



## მოსახლეობაში პანიკაა

ინფორმირებული წყაროდან ცნობილი გახდა, რომ სოხუმში ბოლო დროს მომხდარი ფაქტების გამო (აფეთქებები, ტერაქტები და სხვა) მოსახლეობაში შეიმჩნევა პანიკა. ამასთან დაკავშირებით დაფიქსირდა დიდი სოჭის ზონასა და კრასნოდარის მხარეში აფხაზი და არა მარტო აფხაზი ეროვნების მოსახლეობის დიდი რაოდენობით გასვლის ფაქტები.

## ბენზინგასამართი სადგურების მფლობელები გაფიცვას აპირებენ

როგორც უკვე ცნობილია, ფინანსთა სამინისტროს 26 სექტემბრის №260 ბრძანების თანახმად, პირველი ოქტომბრიდან საწვავსა და გარემოს დაბინძურებაზე შეიცვალა ბეგარის გადახდის წესი.

აღნიშნულთან დაკავშირებით, ცნობილი გახდა, რომ ბენზინგასამართი სადგურების მფლობელებს, იმის შიშით, რომ ახალი ტარიფები საწვავზე ფასების ზრდას გამოიწვევს, ამ საკითხების განხილვა დაგეგმილი აქვთ 9 ოქტომბერს, შეხვედრაზე, რომელიც იპოდრომის მიმდებარე ტერიტორიაზე გაიმართება. იმ შემთხვევაში თუ ფინანსთა სამინისტროსთან ვერ მოხდება გარკვეული შეთანხმების მიღწევა, ბენზინგასამართი სადგურების მფლობელები გაიფიცებიან.

## სტუმრები საფრანგეთიდან

პრეზიდენტის პრეს–სამსახურის ცნობით, დღეს საქართველოს ორდღიანი ოფიციალური ვიზიტით ეწვევიან საფრანგეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ერვე დე შარეტი მეუღლითურთ, პარლამენტის წევრები და საქმიანი წრეების წარმომადგენლები.

ვიზიტის პროგრამის მიხედვით, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი პირისპირ შეხვდება საქართველოს პრეზიდენტს ე.შევარდნაძეს. დაგეგმილია შეხვედრები საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრთან ი.მენაღარიშვილთან, პარლამენტის თავმჯდომარე ზ.ჟვანიასთან.

საფრანგეთის საქმიანი წრეების წარმომადგენლები შეხვდებიან სახელმწიფო მინისტრს ნ.ლეკიშვილს, ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სამინისტროს ხელმძღვანელობას, საქართველოს საქმიანი წრეების წარმომადგენლებს.

საფრანგეთის რესპუბლიკის პარლამენტის წევრები შეხვდებიან საქართველოს პრეზიდენტს ე.შევარდნაძეს, პარლამენტის თავმჯდომარეს ზ.ჟვანიას, პარლამენტის საფრანგეთის სენატთან თანამშრომლობის მუდმივმოქმედ დელეგაციას.

დაგეგმილია თბილისისა და მცხეთის ღირსშესანიშნაობათა დათვალიერება.

იფრინდა

გსურთ გახდეთ ყოველგვარი დიეტის გარეშე, დარეკეთ 78-91-55 ნანა
კონსულტაცია უფასოა.



თარაზულად: 9. სხვადასხვა ფორმის დაწმენდილი ნატეხი შაქარი; 10. საგანთა კრებული; 11. ტაჯიკეთის პოლიტიკური ოპოზიციის ლიდერი; 12. ბილ კლინტონის პოლიტიკური მრჩეველი, რომელსაც ვაშინგტონელმა მეძავმა სამსახური დააკარგვინა; 13. XI საუკუნის ხუროთმოძღვრული ძეგლი მანგლისთან; 14. იურიდიული დოკუმენტი; 16. სოფელი ხაშურის რაიონში; 18. დროის აღრიცხვის ერთეული; 19. რვეულის გარეკანი; 22. ფლანდრიის სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე; 24. ერთ-ერთი დეკაბრისტი; 27. ორი ქართველი მეფის სახელი; 29. სილიციუმის ორჟანგი; 30. სითყაიშვილის სცენური და ეკრანული სახე; 31. ამერიკელი ჩოგბურთელი; 32. საქონლის გაყიდვა უცხოეთის ბაზარზე შინაგანი ბაზრის ფასებთან შედარებით ბევრად იაფად (კონკურენტების განდევნის მიზნით).

შვეულად: 1. ჯოჯოხეთის მანათობელი შუქურა; 2. ნახევარკუნძული აზერბაიჯანში; 3. თექსმეტმარცვლოვანი ოთხტაეპიანი ლექსი; 4. ხემიანი საკრავი; 5. ნიბლია ანუ... 6. რთული სიტყვის ნაწილი, რომელიც აღნიშნავს რისამე ფარგლებს გარეთ მყოფს, უკიდურესს; 7. მექსიკის ინდიელთა მრავალრიცხოვანი ხალხი; 8. პაპირუსის ან პერგამენტის გრაგნილი (ხელნაწერი) ძველ საბერძნეთსა და რომში; 15. ცალკეული ნომრებისაგან შედგენილი საესტრადო ან თეატრალური წარმოდგენა; 17. ფრანგი მწერალი, გვარად მორუა, სახელად... 20. გარუსებული ქართველის ირონიული სახელწოდება XIX საუკუნის 50-60-იანი წლების საქართველოში; 21. ჰიტლერული გერმანიის №2 დიქტატორი? 23. ერთ-ერთი ქვეყანა „ლპობადი" კაპიტალიზმის სამყაროდან; 24. ცნობილი ბრიტანელი პოპ-მუსიკოსი; 25. ფერდობზე კიბე-კიბე გაჩენილი ან გაკეთებული ბაქნებიდან ერთ-ერთი; 26. მოგონილი, შეთხზული რამ; 28. ერთმანეთის გვერდით, ერთმანეთის თანხლებით; 29. უკრაინის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე.

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 5. დაფნა; 6. ემალი; 7. „მედეა"; 8. ბზობა; 10. მადრასი; 12. გრადუსი; 13. მუნდირი; 17. ჩარჩი; 18. ვენეცია; 19. იოანე; 20. მზალო; 21. ზანდუკი; 24. ლისტი; 25. ოპერეტა; 26. ემულსია; 27. მგოსანი; 30. ზურნა; 31. ლიფტი; 32. კლასი; 33. ცენზი.

შვეულად: 1. კონფერანსიე; 2. ლამაზისეული; 3. მასეო; 4. ალიბი; 9. კოალიციონერი; 11. კრიმინალისტი; 14. ჩარლზი; 15. ლებედი; 16. ანკეტა; 22. ანტაგონისტი; 23. კომენტირება; 28. მუხლი; 29. შტაბი

მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447
ფასი 50 თეთრი

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444